შეზღუდული სივრცე
ქვიარ და ქალი
აქტივისტებისთვის



WeResearch
ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA
filia die frauenstiftung.

WeResearch

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

filia
die frauenstiftung.

შეზღუდული სივრცე ქვიარ და ქალი აქტივისტებისთვის

თბილისი, 2020

წინასიტყვაობა

წინამდებარე კვლევა ორგანიზაცია WeResearch-მა შეასრულა პროექტის: “ადგილობრივ დონეზე მომუშავე ორგანიზაციების მობილიზება დემოკრატიისთვის” ფარგლებში, რომელსაც „ქალთა ფონდი საქართველოში“ ახორციელებს. ფინანსური მხარდაჭერა კვლევას გერმანულმა ქალთა ფონდმა, “Filia die Frauenstiftung“ გაუწია.

მკვლევართა ჯგუფი მადლობას უხდის რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისა და დროის დათმობისათვის. კვლევაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს თანამშრომლებისადმი.

მოცემულ კვლევაში წარმოდგენილი მოსაზრებები და დასკვნები, შესაძლოა არ ასახავდეს „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს პოზიციას.

მკვლევართა ჯგუფი:

გვანცა ჯიბლაძე
დარიკო ბახტურიძე
ნანა ჭაბუკიანი

ყდის ილუსტრაცია:

სალომე ჟვანია

თარგმანი:

თინათინ ხომერიკი

სარჩევი

წინასიტყვაობა 2

1. შესავალი 4

2. ქვეყნის კონტექსტი 8

2.1. რადიკალური მემარჯვენე დისკურსი და დინამიკა 8

2.2. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დისკურსი 9

2.3. საზოგადოების დამოკიდებულება გენდერული თანასწორობისა და ქვიარ საკითხებისადმი 11

3. ქალთა უფლებები და ქვიარ მოძრაობა საქართველოში 13

3.1. ქალი და ქვიარ აქტივისტების ნარატივები საქართველოში 14

3.2. საზოგადოებაში ნარატივების გავრცელების ტაქტიკები 16

3.3. მისაღები და მიუღებელი ნარატივები 17

4. ქალი და ქვიარ უფლებადამცველების სივრცის შეზღუდვა 19

4.1. ქალი და ქვიარ აქტივისტების წინაშე არსებული საფრთხეები 22

4.2. ფაქტორები, რომლებიც არსებულ საფრთხეებს ზრდის 24

4.3. საფრთხის შედეგები ქალი და ქვიარ აქტივისტებისთვის 27

4.4. უსაფრთხო სივრცის შექმნა 28

5. დასკვნა 30

1. შესავალი

დემოკრატიული სივრცის შეზღუდვა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების სივრცისა თუ დემოკრატიის შეზღუდვაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია საუბრობს. „სივრცის შეზღუდვა“ განიმარტება, როგორც „გარემო, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო ქმედებათა ფართო სპექტრის განხორციელების შესაძლებლობა შემცირებულია.[1] ეს „დემოკრატიაზე განხორციელებული ავტორიტარული წნეხის გამოვლინებაა“. ამ ფენომენის გამომწვევი მიზეზები, ზოგადად, მსოფლიოს ავტორიტარიზმისკენ შემობრუნებასა და ანტილიბერალურ საზოგადოებრივ დღის წესრიგს[2] უკავშირდება.[3] „სივრცის შეზღუდვა“ - ესაა ვითარება, როცა სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის სივრცე იკუმშება, ხოლო დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის დახმარების გარედან მიღების - მაგალითად, დონორისაგან დაფინანსების მიღების - საშუალება აღკვეთილია. როგორც Civicus Review-შია აღნიშნული, სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც სივრცეს ქმნის აქტივიზმისა და სამოქალაქო საზოგადოების ოპერირებისათვის, მნიშვნელოვან დაბრკოლებას აწყდება. ეს ფუნდამენტური უფლებებია: ა) გაერთიანების უფლება, ბ) მშვიდობიანი შეკრების უფლება და გ) გამოხატვის თავისუფლება.[4]

დემოკრატიის შეზღუდვა გლობალური პრობლემაა, რომელიც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო ქმედებებსა და საშიშროებებში ვლინდება. თუმცაღა, ეს გამოვლინება სხვადასხვა კონტექსტში და აქტორთა სხვადასხვა ჯგუფების შემთხვევაში, სხვადასხვა ფორმას შეიძლება იძენდეს.[5] ზოგ შემთხვევაში, მთავრობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა (სსო) და აქტივისტებს სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს უქმნის, რითაც გარე დაფინანსების მიღებისა და მიზნების განხორციელების შესაძლებლობას უზღუდავს; სხვა შემთხვევებში, სსო-ებს სხვადასხვა პროცესებში მონაწილეობაში, ან შეხედულებების გამოხატვაში უშლიან ხელს; ინდივიდუალური სამოქალაქო აქტივისტები და ადამიანის უფლებათა დამცველები კი ხშირად შევიწროების, ფიზიკური ძალადობისა და დაშინების სამიზნედ იქცევიან.[6] ILGA-Europe-ის ანგარიშში „სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელსაყრელი გარემოს წახალისების და მისი ჩამოყალიბების შესაძლებლობის შექმნის“ შესახებ, განხილულია ზოგადი შეზღუდვები, რომლებიც დემოკრატიის შეზღუდვის პირობებში სამოქალაქო საზოგადოებას შეიძლება დაემუქროს. ეს შეზღუდვები შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში მათი თანამონაწილეობის გამორიცხვას, სამოქალაქო საზოგადოების წევრებს შორის დაუცველობისა და სტიგმატიზაციის განცდას, მათი მშვიდობიანი პროტესტის აკრძალვას,

[1] ILGA-Europe. (2015). *Promoting an Enabling Civil Society Environment.* ანგარიში იხ. ბმულზე.

[2] შენიშვნა: „ლიბერალურსა“ და „ანტილიბერალურში“ ვგულისხმობთ ღირებულებათა სისტემას და არა პოლიტიკურ იდეოლოგიას.

[3] EU. (2017). *Shrinking space for civil society: the EU response.* ანგარიში იხ. ბმულზე.

[4] Civicus. (2016). *Year in Review: Civic Space. Socs 2016 civic space: rights in retreat, civil society fighting back*, p 2. მოპოვებულია 201 წლის 30 ნოემბერს.

[5] Forum Syd. (2017). *SHRINKING SPACE FOR CIVIL SOCIETY - CHALLENGES IN IMPLEMENTING THE 2030 AGENDA.* ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

[6] IGLA-Europe. Civil Society Space. ინფორმაცია ხელმისწვდომია ბმულზე.

დაფინანსების შეზღუდვას და მათ მიერ დაფინანსების მიღების არდაშვებას, კანონმდებლობის მეშვეობით მათ აკრძალვას.[1]

რადიკალური მემარჯვენე ავტორიტარული ჯგუფები მთავრობისთვის სამოქალაქო აქტივიზმის სივრცის შეზღუდვის მყარ ბერკეტს წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოების დაშინება და მათზე ძალადობრივი თავდასხმები რელიგიურ კონსერვატორთა და რადიკალურ მემარჯვენე აქტორთა მხრიდან, მრავალ ქვეყანაში დემოკრატიის შეზღუდვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ეს ჯგუფები სამოქალაქო აქტივისტებსა და მათ საქმიანობას ეგზისტენციალურ საფრთხეებს უქმნის და მათ უფლებას, იყვნენ შიშისგან თავისუფალნი, საფრთხეს უქმნიან პირდაპირი მუქარით, დაშინებით და ძალადობით როგორც ფიზიკურ, ისე - ციფრულ სივრცეებში.[7]

სივრცეების შეზღუდვა აქტივისტებისთვის, გენდერული ფენომენია, რასაც მათი საქმიანობის სფერო და გენდერული იდენტობა განაპირობებს.

სივრცის შეზღუდვა სამოქალაქო აქტივისტთა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყველა ჯგუფს უზღუდავს ფუნდამენტურ უფლებებს. თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ ეს გენდერული ფენომენია, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან ხშირად ჯგუფებს სივრცე მათი გენდერის, ან გენდერზე ორიენტირებული სამუშაოსა და აქტივიზმის ნიშნით ეზღუდებათ. მეტიც, ის სტრატეგიები, რომელთა მეშვეობითაც მათ სამიზნეში იღებენ, ასევე გენდერული ნიშნით განისაზღვრება. კერძოდ, სექსუალური შევიწროება, ძალადობა ან დაშინება უნივერსალური ფენომენია, რომელსაც ადამიანის უფლებათა ქალი დამცველები და ქალთა მიერ მართული ორგანიზაციების წარმომადგენლები განიცდიან.[8] Kvinna till Kvinna-ის ანგარიშის თანახმად, ადამიანის უფლებათა ქალი დამცველების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ქალ დამცველებზე ორმაგ ზეგავლენას ახდენს. ერთი მხრივ, ის ქალთა ორგანიზაციებს დაფინანსების მიღების შესაძლებლობას უსპობს, მეორე მხრივ კი, ქალების, როგორც აღმზრდელების ტრადიციულ როლზე ამახვილებს გამძაფრებულ ყურადღებას და უგულებელყოფს ქალების, როგორც ცვლილებათა აქტორების როლს და მათ პოლიტიკაში ჩართვის საშუალებას არ აძლევს[9]. როგორც ანგარიში „ფემინისტური წინააღმდეგობა და მედეგობა“ განსაზღვრავს, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა „განსხვავებული ხმების დახშობის მიზანმიმართული მცდელობის შედეგია - იმ ქმედებების, რომლებიც ჰეტერო-პატრიარქალური მმართველობის თანხმობას მოსდევს“.[10]

ფემინისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი ქალი აქტივისტები მრავალ ქვეყანაში განიცდიან მთავრობისაგან პირდაპირ და უკიდურეს შეზღუდვებსა და ძალადობას. მაგალითად, უკვე ზედიზედ ორი წელიწადია, თურქული პოლიცია ცრემლსადენ გაზს იყენებს სტამბოლში ქალთა საერთაშორისო დღის მოზეიმე ქალების

[7] Transnational Institute. (2017). *On "Shrinking Space". A framing paper.* ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე.

[8] Mama Cash/Urgent Action Fund. (2017). *Women- and Trans-Led Organisations Respond to Closing Space for Civil Society.* ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე.

[9] Kvina till Kvina. (2018). *Suffocating the Movement – Shrinking Space for Women's rights*. მოპოვებულია მოცემულ ბმულზე.

[10] Urgent Action Funds Sister Funds. (2017). Feminist Resistance and Resilience. Reflections on Closing Civic Space. ხელმისაწვდომია ბმულზე.

შესაჩერებლად.[11] 2020 წლის 8 მარტს, ყირგიზეთში, ბიშკეკში, ქალთა საერთაშორისო დღისთვის მიძღვნილი მშვიდობიანი დემონსტრაციაც რადიკალი მემარჯვენეების ჯგუფებმა შეაფერხეს.[12] ქალთა მსვლელობის შეფერხების მცდელობებს ჰქონდა ადგილი ბაქოში, აზერბაიჯანშიც, სადაც ფემინისტ აქტივისტებს გზა გადაუღობეს, მათ წინააღმდეგ ძალადობას მიმართეს და რამდენიმე აქტივისტი დააშავეს და დააპატიმრეს კიდეც[13].

სივრცის ამგვარი ექსტრემალური შეზღუდვის გარდა, ადამიანის უფლებათა ქალი დამცველები ბევრ ქვეყანაში შენიღბულ წინააღმდეგობებსაც აწყდებიან. მაგალითად, მთავრობისგან შეიძლება პირდაპირი ფიზიკური საფრთხე არ ემუქრებოდეთ, თუმცა, სამაგიეროდ, საკანონმდებლო დონეზე მათ შეიძლება არაფერი უმაგრებდეს ზურგს. მეტიც, მთავრობის, მთავრობის მიერ ორგანიზებული არასამთავრობო ორგანიზაციების (GONGO) და რადიკალი მემარჯვენე აქტორების მიერ ხელისშემშლელი დისკურსის გავრცელება ადამიანის უფლებათა ქალი დამცველების სივრცის შეზღუდვის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა.

საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ სივრცის შეზღუდვა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული პატრიარქალური და ტრადიციული დისკურსების ფართოდ გავრცელებასთან და ასევე - ნაციონალისტურ რიტორიკასთან. საზოგადოებაში ასეთი დისკრიმინაციული ღირებულებების გაბატონება სივრცის შეზღუდვას კიდევ უფრო აძლიერებს, ფემინისტ აქტივისტებსა და ადამიანის უფლებათა ქალ დამცველებს კიდევ უფრო მოწყვლადად აქცევს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი შეზღუდვებს უფრო მწვავედ განიცდიან და მთავრობისა და რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების უფრო იოლ სამიზნედ იქცევიან. როგორც "Urgent Action Fund" აღნიშნავს თავის ანგარიშში, ქალები და ქვიარ აქტივისტები „განიცდიან სამოქალაქო საზოგადოების სივრცის შეზღუდვას, რომელსაც, ნაწილობრივ მაინც, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რიტორიკა იწვევს. ასეთი რიტორიკა ვიწრო პატრიარქალურ და ჰეტერონორმატიულ გენდერულ ქცევასა და სექსუალურ იდენტობას აწესებს და თავს ახვევს საზოგადოებას და ამ ვითარებას ძალადობის, მუქარისა და სტიგმის მეშვეობით ინარჩუნებს.[8]

სივრცის შეზღუდვა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული პატრიარქალური და ტრადიციული დისკურსების ფართოდ გავრცელებასთან და ასევე - ნაციონალისტურ რიტორიკასთან.

სამოქალაქო სივრცეების ირიბი და ფარული სახით შეზღუდვა საქართველოშიც გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ქალი დამცველების არც პირდაპირ ექსკლუზიას და არც დევნას არ აქვს ადგილი, ხოლო საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო მოქალაქეებს ოფიციალურად თანასწორად ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებებს, ამ ჯგუფებს მთავრობა პროაქტიურად არ უჭერს მხარს. ამრიგად, ფუნდამენტური უფლებები ადამიანის უფლებათა ქალი დამცველებისა და LGBTQI+ ჯგუფების შემთხვევაში, წმინდა ფორმალურ, სიმბოლურ აქტადღა რჩება. IDAHOBIT (ჰომოფობიასთან, ბიფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე) და „თბილისის პრაიდის" ღონისძიებები,

[11] დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.
[12] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული.
[13] დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ.

რომელთაც შემდგომ დეტალურად განვიხილავთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა. ამასობაში, ადამიანის უფლებათა ქალ აქტივისტებს არაფორმალური რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები და ეკლესია აშკარა მტრულ და ძალადობრივ გარემოს უქმნის. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის კომპლექსურობის მიუხედავად, საქართველოში ადამიანის უფლებათა ქალი დამცველების აქტივიზმის სივრცის შეზღუდვის სისტემური და დეტალური ანალიზი აქამდე არ გაკეთებულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამ კვლევის მიზანი იყო საქართველოში ქალთა და ქვიარ აქტივიზმის გაანალიზება შეზღუდვადი დემოკრატიის კონტექსტში. უფრო კონკრეტულად, კვლევამ არსებული კონტექსტი მიმოიხილა, დააკვირდა რა ა) საზოგადოებაში გავრცელებულ განწყობებსა და ბ) რადიკალი მემარჯვენე ჯგუფებისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გავრცელებულ დისკურსს (ეს უკანასკნელი კი, უახლესი გამოკითხვების თანახმად, ერთ-ერთი იმ ორგანიზაციათაგანია, რომელსაც საქართველოში ყველაზე მეტად ენდობიან[14]). ამასთან ერთად, კვლევამ გააანალიზა, როგორ ოპერირებენ ქალი და ქვიარ აქტივისტები არსებულ შეზღუდვად სივრცეში, რა სტრატეგიებს იყენებენ საკუთარი ნარატივის გასავრცელებლად და რა საფრთხეების წინაშე დგანან ისინი. კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა ნებისმიერი სისგენდერი, ან ტრანსგენდერი ქალი აქტორი, რომლის აქტივიზმი მოიცავს გენდერული თანასწრობის საკითხებს და ქალთა და ქვიარ ადამიანების უფლებებს.

ამ მიზნით, მკვლევართა გუნდმა ჩაატარა თვისებრივი კვლევა და მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენა. კერძოდ, სამაგიდე კვლევა გამოყენებულ იქნა არსებული ლიტერატურისა და რადიკალი მემარჯვენე ჯგუფების ნარატივის გასაანალიზებლად. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის ეპისტოლეთა კონტენტ-ანალიზი გამოყენებულ იქნა ამ ინსტიტუციის მიერ გავრცელებული დისკურსის გამოსავლენად. მეორად მონაცემთა ანალიზი ჩატარდა ქალთა და LGBTQI+ საკითხების მიმართ ამჟამად არსებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების საჩვენებლად. და ბოლოს, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ქალ და ქვიარ აქტივისტებთან, რათა გამოგვევლინა მათი ნარატივები და აქტივიზმთან დაკავშირებული პრაქტიკები. კერძოდ, ჩატარდა 15 ინტერვიუ ქალთა და ქვიარ უფლებების დამცველებთან, ქალთა უფლებების, LGBTQI+ აქტივისტებთან და ჟურნალისტებთან/ბლოგერებთან, რომლებიც ქალთა და ქვიარ საკითხებზე წერენ. ოთხი რესპონდენტი რეგიონებიდან იყო, მათგან ორი - ეთნიკურ უმცირესობათა თემებს წარმოადგენდა.

ანგარიში აგებულია შემდეგი სტრუქტურით: პირველ რიგში, განხილულია ქვეყნის კონტექსტი, რომელსაც მოყვება ქალი და ქვიარ უფლებადამცველების აქტივიზმის მიმოხილვა. ბოლოს კი გაანალიზებულია საქართველოში არსებული შეზღუდვადი დემოკრატიული სივრცე ამ მოძრაობებისთვის.

[14] საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, სხვადასხვა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მაღალი ნდობით სარგებლობს.

2. ქვეყნის კონტექსტი

ეს თავი მიმოიხილავს ქვეყნის კონტექსტს, კერძოდ, წარმოდგენილია რადიკალი მემარჯვენე ჯგუფებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ანტი-გენდერული თანასწორობის, ანტი-ქვიარ დისკურსისა და საზოგადოების დამოკიდებულებების ანალიზი ქალთა და LGBTQI+ საკითხების მიმართ.

2.1. რადიკალური მემარჯვენე დისკურსი და დინამიკა

გასული ათწლეულის მანძილზე საქართველოში რადიკალური მემარჯვენე მოძრაობების მზარდი გაძლიერების სურათი იკვეთება. 2013 წლის 17 მაისს რადიკალ მემარჯვენეთა ექსტრემისტული ჯგუფები[15], რომელთაც მხარს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები უჭერდნენ, ფიზიკურად დაესხნენ თავს მშვიდობიან დემონსტრანტებს, რომლებიც ჰომოფობიასთან, ბიფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდნენ (IDAHOBIT)[16]. ეს ინციდენტი საქართველოში რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური თავდასხმა იყო. ამ კონკრეტულმა მოვლენამ განსაზღვრა და გამოავლინა საქართველოში იქამდე უკვე არსებული დისკურსი[17]. ექსტრემისტული ჯგუფები საზოგადოებაში უფრო გააქტიურდნენ და უფრო ხილულნი გახდნენ. რამდენადაც სახელმწიფოს რადიკალ მემარჯვენეთა მიმართ საგანგებო ზომები არ მიუღია, ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტი რადიკალური მემარჯვენე საპროტესტო აქცია გაიმართა, მეტი რადიკალური მემარჯვენე ჯგუფი დარეგისტრირდა ოფიციალურად და კიდევ უფრო მეტი სოციალური მედიის გვერდი შეიქმნა მათი ნარატივების კიდევ უფრო ფართო საზოგადოებაში გასავრცელებლად[18]. მეტიც, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ (CRRC) საქართველოს ოფისის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაცია აჩვენებს, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფთა მხარდამჭერების რაოდენობა გაიზარდა.[19]

საქართველოს საკანონმდებლო დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა კრძალავს ექსტრემალურ მემარჯვენე რიტორიკას და ქმედებას. შედეგად, პოლიტიკის დონეზე, ექსტრემალურ ჯგუფებს არცთუ ბევრი შესაძლებლობა აქვთ. თუმცა, კანონის ამოქმედება კვლავ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ამ დონეზე, რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებს პოლიტიკოსები ირიბად უჭერენ მხარს[18]. ზოგიერთი ოფიციალური პირი ღიად არ გმობს რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების ქმედებებს, თავს არიდებს მათი დემონსტრაციების კრიტიკულ შეფასებას და მათ თანაუგრძნობს კიდეც[20]. მეტიც,

---

[15] შენიშვნა - მოცემული ანგარიშის ფარგლებში რადიკალური „მემარჯვენე ჯგუფების“ განსაზღვრება შემდეგია: ჯგუფები, რომლებიც აძლიერებენ ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ ღირებულებებს და რომელთა დისკურსი თვალსაჩინოდ ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ნაციონალისტურია.

[16] საპროტესტო აქციის ამსახველი ფოტოების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე.

[17] რეხვიაშვილი, ა. (2018). *ჰომონაციონალიზმი თუ ჰომოსექსუალობის პროპაგანდა? 17 მაისის გეოპოლიტიკური ანალიზი.* სტატია ხელმისაწვდომია ბმულზე.

[18] გელაშვილი, თ. (2019). *მემარჯვენე ექსტრიმიზმის შესაძლებლობები საქართველოში.* სტატია ხელმისაწვდომია ბმულზე.

[19] CRRC. (2018). *Countering Anti-Western Discourse in social media. კვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე.*

[20] Abashidze, Z., Pipia., D., Mikadze, L. (2018). The Georgian March against migrants and NATO. Jam News. ხელმისაწვდომია ბმულზე.

რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები ხშირად რუსეთთან არიან დაკავშირებულნი. ეს კავშირები იდეოლოგიურიც არის და ფინანსურიც.[21] ნიშანდობლივია, რომ რადიკალ მემარჯვენეთა დისკურსი საქართველოში ღიად პრორუსული არ არის. ამის ნაცვლად, ის ანტიდასავლური და ანტიევროპულია.[20]

დღეისათვის საქართველოში საკმაოდ ბევრი მოქმედი რადიკალური მემარჯვენე ჯგუფია: „ქართული მარში“, „ქართული ძალა“, „მოძრაობა ეროვნული“, „ქართული იდეა“, „საქართველოს ეროვნული ერთობა“, „ქართული მისია“, „სამოქალაქო სოლიდარობა“ და ა.შ. 2020 წლის ზაფხულში რადიკალურმა მემარჯვენე ჯგუფებმა ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა დააანონსეს.[22]

რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების ნარატივი ჰომოფობიური, ქსენოფიბიური და ანტილიბერალურია.

რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები სოციალურ მედიას ალტერნატიული პლატფორმის შექმნის საშუალებად განიხილავენ, რომლის მეშვეობით საკუთარი ნარატივების, იდეოლოგიისა და ღირებულებების გავრცელებას, მიმდინარე საკითხების კომენტირებას და მხარდამჭერთა მოძიებასა და შენარჩუნებას შეძლებენ.[23] რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების მიერ საკუთარ სოციალურ მედიაში გავრცელებული მასალის შინაარსი უმეტესად ისტორიას, რელიგიას, ტრადიციებსა და კულტურას უკავშირდება, რაც ნაციონალისტურ რიტორიკას აძლიერებს.[23] მეორე მხრივ, მათი ნარატივი ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ანტილიბერალურია.[24]

რადიკალური მემარჯვენე ნარატივის დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ LGBTQI+ თემს ისინი ხედავენ, როგორც მტერს, რომელიც საზოგადოების წევრი არ არის და ერისათვის საფრთხეს წარმოადგენს.[23] რაც შეეხება ქალებს, „ფეისბუკის“ პოსტების ანალიზი აჩვენებს, რომ „ქართული მარში“ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ნარატივს ქმნის, სადაც ქართველი ქალები ფემინისტების საწინააღმდეგოდ არიან დანახულები. „ლამაზი და ჰარმონიული“ არაფემინისტი ქალები შეპირისპირებულნი არიან ფემინისტებთან, რომლებსაც ყოველთვის უშნოებად წარმოაჩენენ. „კარგი ქალები“ ყოველთვის კონსერვატულები არიან და სილამაზესთან ერთად, მებრძოლი სულიც მიეწერებათ. რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები აბორტს ეწინააღმდეგებიან და ფემინისტებს მკვლელობის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ.[23]

2.2. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დისკურსი

რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები ხშირად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენაზე არიან დამოკიდებულნი და მათ ჰომოფობიურ დისკურსს რელიგიურ არგუმენტებზე აფუძნებენ.[24] საკუთარი ქმედებების გასამართლებლად და ლეგიტიმაციისთვის ისინი რელიგიურ ტექსტებს, სიმბოლოებს და პატრიარქის ქადაგებებს იყენებენ.[23] საქართველოს

[21] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2018). *ქართული ნეონაციზმის ანატომია.* ხელმისაწვდომია ბმულზე.

[22] დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე.

[23] სართანია, ქ. ცურნავა, ა. 2019. *ქართული ონლაინ ჯგუფების ულტრანაციონალისტური ნარატივი.*

[24] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი. 2019. მედიამონიტორინგის შედეგები ქართულად ხელმისაწვდომია ბმულზე.

მართლმადიდებლური ეკლესია ქართულ ინსტიტუციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნდობით სარგებლობს. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 71% ეკლესიას ენდობა[25]. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე შემცირდა, ეკლესიას ძლიერი გავლენა აქვს საზოგადოებაში გავრცელებულ ღირებულებებზე. გენდერულ თანასწორობასა და LGBTQI+ საკითხებზე მართლმადიდებელი ეკლესიის დისკურსის გამოსავლენად, მკვლევართა ჯგუფმა გააანალიზა პატრიარქის საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები 2011-დან 2019 წლამდე.

ანალიზი აჩვენებს, რომ ოჯახური ღირებულებები პატრიარქის ეპისტოლეების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ოჯახს საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს, რადგან ქორწინება შვიდი საიდუმლოდან ერთ-ერთს განეკუთვნება. ოჯახი „მცირე ეკლესიად“ ითვლება, შესაბამისად, ეკლესიას ოჯახსშიდა ურთიერთობების განსაზღვრის ლეგიტიმაცია მიეწერება. სწორედ ოჯახსა და ქორწინებაზეა გამახვილებული ყურადღება 2014 და 2015 წლების ეპისტოლეებში. ეს შესაძლოა, იმით აიხსნებოდეს, რომ ეკლესიამ 17 მაისი (ჰომოფობიასთან, ბიფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე) 2014 წელს „ოჯახის სიწმინდის დღედ“ გამოაცხადა. ამრიგად, ეპისტოლეები განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს მართლმადიდებლური ოჯახი. ყველაფერი, რაც ტრადიციული ოჯახის იდეას ეწინააღმდეგება, მათ შორის - ცოლისა და ქმრის ტრადიციული როლების შეცვლა, აბორტი, განქორწინება, სუროგაცია, ხელოვნური განაყოფიერება და ერთი სქესის პირთა ქორწინება - საფრთხედ აღიქმება.

ანალიზი აჩვენებს, რომ ტრადიციულ ოჯახში ქმარი „ოჯახის უფროსი“ უნდა იყოს, ცოლი კი მას მუდამ უნდა ემორჩილებოდეს. ცოლის

ყველაფერი, რაც ტრადიციული ოჯახის იდეას ეწინააღმდეგება, მათ შორის - ცოლისა და ქმრის ტრადიციული როლების შეცვლა, აბორტი, განქორწინება, სუროგაცია,ხელოვნური განაყოფიერება და ერთი სქესის პირთა ქორწინება - საფრთხედ აღიქმება.

პასუხისმგებლობები ნაკლებად მნიშვნელოვანი როდია; თუმცა, იერარქია ყოველთვის შენარჩუნებულ უნდა იქნას. დედობა ქალის ცენტრალური როლია და ყველაფერი, რაც ქალს აძლიერებს და დამოუკიდებლად აქცევს, მაგალითად, კარიერა და პირადი ინტერესები, ცოდვად და „კარგი დედობის“ მიმართ აღმოცენებულ საფრთხედ მიიჩნევა. აბორტი მკვლელობასთან არის ასოცირებული და ის არამხოლოდ მშობლების მხრიდან ითვლება ცოდვად, არამედ ამ პროცესში ჩართული სამედიცინო პერსონალის მხრიდანაც. მეტიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გმობს სუროგაციასა და ხელოვნურ განაყოფირებას და თვლის, რომ ოჯახი, სადაც ბავშვი სუროგატი დედის დახმარებით იბადება, არ შეიძლება ბედნიერი იყოს.

ასეთი ნარატივი განსაზღვრავს „კარგი ქალობის“ ნორმებს და ყველა ის ქალი, რომელიც ამ ნორმებს არ ემორჩილება, ავტომატურად სტიგმატიზებულია. მეტიც, ოჯახში გენდერული როლების განაწილებისა და ფუნქციონირების ტრადიციული

[25] დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე.

გაგებისადმი ნონკონფორმიზმი ფემიციდის სავარაუდო მიზეზად განიხილება.

„აგრესია განსაკუთრებით დიდია მამაკაცების გარკვეულ ნაწილში; განსაკუთრებით მათში, რომელნიც უსაქმოდ და უფუნქციოდ დარჩნენ და ოჯახის მარჩენალისა და მასზე მზრუნველის ფუნქცია დაკარგეს. ეს კი იწვევს ორივე მხარის დაძაბულობასა და გაღიზიანებას. რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალების სიცოცხლის ხელყოფით მთავრდება“ (საშობაო ეპისტოლე, 2015).

LGBTQI+ თემის წევრები ეპისტოლეებში ცოდვილებად არიან დანახულნი, ერთი სქესის პირთა ქორწინება კი ოჯახისადმი საფრთხედ მიიჩნევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები არგუმენტებს ხშირად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ნარატივზე აფუძნებენ. მეორე მხრივ, მართლმადიდებლური ეკლესია ღიად სთავაზობს მხარდაჭერას რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებს და ეკლესიის წარმომადგენლები ხშირად ესწრებიან მათ მიერ ორგანიზებულ საპროტესტო გამოსვლებს. გარდა ამისა, ეკლესია ხშირად იყენებს მასთან აფილირებული ორგანიზაციების - მაგალითად, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ და „მსოფლიო ოჯახთა კონგრესის“ ძალისხმევას. ერთად ამ აქტორებს, საზოგადოებაზე ძლიერი ზეგავლენა აქვთ და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გენდერული თანასწორობის, ქალთა და ქვიარ უფლებების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების განსაზღვრაში.

2.3. საზოგადოების დამოკიდებულება გენდერული თანასწორობისა და ქვიარ საკითხებისადმი

არაერთი კვლევა მიუთითებს, რომ ქართულ საზოგადოებაში გაბატონებული დამოკიდებულებები ძალიან ჰგავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების მიერ გავრცელებულ ნარატივებს. მაგალითად, ფართო საზოგადოებაში მიიჩნევა, რომ ქალის მთავარი როლი დედობა და საშინაო შრომაა[26]. ქალები კვლავაც აწყდებიან დაბრკოლებებს კარიერასა და პოლიტიკაში, „შუშის ჭერი“ და გენდერული ნიშნით გამოწვეული სახელფასო სხვაობა კვლავაც არ არის პრობლემებად აღიარებული[27]. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, ძალადობა დაუშვებლად მიიჩნევა, ქალთა მიმართ ძალადობას საზოგადოება ზოგ შემთხვევაში ამართლებს. მეტიც, სექსუალური შევიწროება, სამუშაო ადგილზე შევიწროების ჩათვლით, ფართო საზოგადოებაში ძირითადად ნორმალიზებული ფენომენია და უმეტესად, თავად ქალების მიერ აღიქმება კომპლიმენტად.[26]



გრაფიკი 1: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2009, 2011, 2013, 2015, 2017, 2019) "ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში". მოპოვებულია ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით - http://caucasusbarometer.org 2020 წლის 3 მაისს.

[26] UN Women (2017). *National study of Violence Against Women in Georgia.* კვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე.

[27] UN Women (2020). Analysis of Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labour Market in Georgia. კვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე.

მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში, დამოკიდებულებები იცვლება და საზოგადოება მრავალი საკითხის მიმართ უფრო მიმღებლური ხდება, ზოგიერთ თემას საზოგადოება უფრო საფრთხისშემცველად მიიჩნევს და ამ საკითხების მიუღებლობა და მათ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება უფრო მძაფრია. მაგალითად, ქალების სექსუალობა კვლავაც მგრძნობიარე თემაა, ფართო საზოგადოება ქალების სექსუალურ თავისუფლებას მხარს არ უჭერს და ეს სურათი წლების მანძილზე უცვლელი რჩება (გრაფიკი 1). LGBTQI+ თემი და მასთან დაკავშირებული თემები ქართული საზოგადოებისთვის კიდევ ერთი მკვეთრად მიუღებელი საკითხია. საზოგადოებრივი გამოკითხვების თანახმად, ეს თემი წლების მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ და გაუცხოებულ ჯგუფად რჩება (გრაფიკი 2). მეტიც, მათი უფლებების დაცვა მნიშვნელოვან საკითხად არ მიიჩნევა საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ (გრაფიკი 3).



გრაფიკი 2: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2017, 2019) „კავკასიის ბარომეტრი" მოპოვებულია მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით - http://caucasusbarometer.org 2020 წლის 3 მაისს.



გრაფიკი 3: კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. (2015, 2018, 2019) " ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI): "საზოგადოების განწყობა საქართველოში". მოპოვებულია მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით http://caucasusbarometer.org 2020 წლის 3 მაისს.

ქვეყნის კონტექსტი არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს ალტერნატიული ნარატივების განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული საკითხების მიმართ დამოკიდებულება განსაზღვრავს ქალთა და ქვიარ უფლებებისა და თანასწორობისთვის მებრძოლი აქტივისტების მიმართ დამოკიდებულებას. ზოგადად, როგორც ჩვენი კვლევის რესპონდენტები აღნიშნავენ, ქალთა უფლებების დაცვა და ქვიარ აქტივიზმი რადიკალიზმთან ასოცირდება და შესაბამისად, საზოგადოება ამ საკითხების მიმართ ნაკლებად მიმღებლურია. ფრონტის ხაზზე მებრძოლი ქალების ნონკონფორმიზმი ტრადიციულად დამკვიდრებული ქალის ხატის მიმართ, დასახელდა როგორც ქალი და ქვიარ აქტივისტების მიუღებლობის მთავარ განმსაზღვრელად. საზოგადოება არ იღებს ქალთა აქტივიზმს, ეს ქალისათვის შეუსაბამო ქცევად ითვლება, „დედას" არ შეჰფერის ქუჩაში დგომა, საკუთარი აზრის ღიად გამოხატვა და საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა.

ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის კონტექსტი არ ქმნის ხელსაყრელ გარემოს ალტერნატიული ნარატივების განვითარებისათვის. მომდევნო სექციები აღწერს ქალი და ქვიარ აქტივისტების მიერ გავრცელებულ ნარატივებს, აანალიზებს ფართო საზოგადოებისათვის ყველაზე მისაღებ და მიუღებელ ქალთა და ქვიარ ნარატივებს.

3. ქალთა უფლებები და ქვიარ მოძრაობა საქართველოში

ქალთა აქტივიზმის განვითარება საქართველოში ევროპული ქალთა მოძრაობის პარალელურად დაიწყო. მოგვიანებით, მას ხელი საბჭოთა ხელისუფლებამ შეუშალა, რომელმაც თანასწორი საზოგადოების მშენებლობის მიზნით, ხელოვნური ჩარევა განახორციელა და ქალთა საკითხი მოგვარებულად გამოაცხადა. ქალთა მოძრაობის წარსული ისტორია საბჭოთა საქართველოში განზრახ იქნა დავიწყებული, რამაც მოგვიანებით, ის წარმოდგენა გაამყარა, რომ ფემინიზმი და ქალთა უფლებები დასავლური საზოგადოების „შემოჭრას“ გამოხატავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქალთა მოძრაობის ახალი დინამიკა შეინიშნება, რომელიც იწყება „ენჯიოიზაციით“, შემდეგ გადადის „სათემო აქტივიზმში“ და კვლავ განვითარების პროცესშია.

პუბლიკაციაში „ფემინისტური დიალოგი“ ბერაიამ[28] გამოყო ფემინისტთა ე.წ. „სამი თაობა“. პირველმა თაობამ ოპერირება 1990-იანებიდან 2000-იანებამდე დაიწყო და მათი საქმიანობა „ენჯიოიზაციით“ ხასიათდება - ამ კატეგორიაში წამყვანი პოზიციები უკავიათ ისეთ ორგანიზაციებს როგორიცაა მაგ. „გაერო“. როგორც ბერაია ახსენებს თავის პუბლიკაციაში, პირველი თაობის აქტივისტები უმეტესად ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობდნენ და მათ საერთაშორისო დონორები აფინანსებდნენ. შედეგად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო დღის წესრიგს დიდი ხნის მანძილზე დონორი განსაზღვრავდა. გარდა ამისა, დონორებზე ფინანსური მიჯაჭვულობა, მათ უფლებამოსილებას ზღუდავდა და რადიკალური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება ვერ შეძლეს.[29] „ენჯიოიზაციის“ ტენდენცია 2011 წლიდან შეიცვალა, როცა სათემო აქტივიზმმა დაიწყო განვითარება. ამას ბერაია ფემინისტთა მეორე თაობას უწოდებს.[28] 2011 წელს შეიქმნა არაფორმალური და არაიერარქიული ჯგუფები: „პარტიზანი გოგოები“ და „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“, რასაც 2014 წელს დაფუძნებული „ქალთა მოძრაობა“ მოჰყვა. ჯგუფმა „პარტიზანი გოგოები“ ფუნქციონირება შეწყვიტა, თუმცა „ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფი“ და „ქალთა მოძრაობა“ კვლავაც აქტიურები არიან. ფემინისტური მოძრაობის მესამე თაობამ 2015 წლიდან დაიწყო განვითარება, რის შედეგადაც საქართველოში ფემინისტური მოძრაობების დღის წესრიგს ინტერსექციურობა დაემატა. შესაბამისად, ფემინისტების ამ თაობას რადიკალური, სოციალისტური და ქვიარ ტენდენციები ახასიათებს.[28]

მოცემული კვლევა ფოკუსირდება მეორე და მესამე თაობების წარმომადგენელ ორ ძირითად ჯგუფზე - მათზე, ვინც ინტერვიუებში თავს ქალთა უფლებების აქტივისტად მიიჩნევს და მათზე, ვინც თავს ქვიარ აქტივისტად ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ჯგუფის გამოწვევები და ის კონტექსტი, რომელშიც ისინი ოპერირებენ, ერთმანეთისგან განსხვავდება, რასაც



[28] ბერაია, ა. (2017). *ფემინისტური დიალოგი*. სტატია ხელმისაწვდომია ბმულზე.

[29] მელაშვილი, თ. (2014). *თანამედროვე ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში*. სტატია ხელმისაწვდომია ბმულზე.

ანგარიშის მომდევნო სექციებში განვიხილავთ.

3.1. ქალი და ქვიარ აქტივისტების ნარატივები საქართველოში

ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტების ჯგუფებს ბევრი საერთო აქვთ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი საზოგადოებაში განსხვავებულ ნარატივებს ავრცელებენ. ნარატივები სხვადასხვა ფორმატით, სხვადასხვა საშუალებებით და ტაქტიკების გამოყენებით ვრცელდება. ამ ორივე ჯგუფისთვის სამიზნე აუდიტორიას უმეტესად ქალები წარმოადგენენ. როგორც რესპონდენტმა აქტივისტებმა აღნიშნეს, მათი მიზანი ქალთა შორის მეტი მხარდამჭერის მოპოვებაა. მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები საფრთხის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევა, აქტივისტებიდან არცერთს აღუნიშნავს, რომ ეს კატეგორია მათი სამიზნე ჯგუფია, რომელზეც ამჟამად მუშაობენ, ან მომავალში აპირებენ იმუშავონ.

ქალთა უფლებადამცველი და ქვიარ აქტივისტების ჯგუფისთვის სამიზნე აუდიტორიას უმეტესად ქალები წარმოადგენენ. მათი მიზანი ქალთა შორის მეტი მხარდამჭერის მოპოვებაა.

ჯგუფებმა, რომლებიც **ქალთა უფლებების აქტივისტებად** თვითიდენტიფიცირდებიან, აღნიშნეს, რომ ისეთ ამოცანებზე მუშაობენ, რომლებიც ქალებისთვის, როგორც სოციალური ჯგუფისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს, ან წუხილის საგანს. კერძოდ, ინტერვიუებში აღნიშნული ასეთი საკითხებია: სექსუალური შევიწროება, ადრეული ქორწინება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, ასევე - ქალთა მიმართ ძალადობა, რომელიც მოიცავს ფემიციდს, ძალადობა საჯარო ფიგურების, მათ შორის, ქალი პოლიტიკოსების მიმართ და სექსუალური ძალადობა. აქტივისტებმა ისიც განაცხადეს, რომ აქტიურად მუშაობენ სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების ამაღლებაზე ფემინიზმის, გენდერული დისკრიმინაციის, სექსუალური განათლების, ქალთა გაძლიერებისა და სხვა საკითხების შესახებ. ქალთა უფლებების აქტივისტი რესპონდენტებიდან ზოგი ასევე დარწმუნებულია, რომ ამ წლების მანძილზე მედიაში არსებულ დისკურსზე „კონტროლის“ დამყარებაც კი მოახერხეს და ქალთა უფლებების საკითხების პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილად ქცევა შეძლეს.

რაც შეეხება **ქვიარ და LGBTQI+ აქტივისტებს,** იდენტიფიცირებულ იქნა ორი ძირითადი ჯგუფი. ერთი ჯგუფი მხარს უჭერს და ქომაგობს ქვიარ ადამიანებისათვის საბაზისო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფას. ისინი ფიქრობენ, რომ LGBTQI+ თემს - განსაკუთრებით, ტრანს თემს - პირველ რიგში, საბაზისო სერვისებსა და სოციო-ეკონომიკურ უფლებებზე წვდომა ესაჭიროება. მეორე ჯგუფი ქვიარ ადამიანების ხილვადობის გაზრდაზე მუშაობს, რადგან ხილვადობას საზოგადოების მხრიდან აღიარების უმთავრეს პირობად მიიჩნევს.

„გაფუჭებულ სისტემაში რა უნდა მოითხოვო, ანუ საერთოდ არანაირი უფლება არ არსებობს. შეუსაბამო მგონია ის, რომ მხოლოდ ხილვადობის კონტექსტში ვილაპარაკოთ ლგბტ ადამიანების უფლებებზე.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

„ინგლისურად არის ესეთი გამოთქმა, „visibility comes before acceptance“, ხილვადობა არის მიმღებლობის წინაპირობა და ამაზე ლაპარაკი, გამოჩენა და დისკუსია, თუნდაც მწვავე, თუ არ დაიწყო, მიმღებლობა ისე არ ხდება.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

ჯგუფები, რომლებიც **ქვიარებად** თვითიდენტიფიცირდებიან, აქტიურად ასახელებდნენ ინტერსექციურობას იმ საკითხად, რომელზეც უფრო მეტად ცდილობენ კონცენტრირდნენ. კერძოდ, როგორც აქტივისტებმა აღნიშნეს, სწორედ ინტერსექციურობის გზითაა შესაძლებელი ქვიარ და LGBTQI+ საკითხების საზოგადოების უფრო ფართო კონტექსტში მოთავსება და საზოგადოებასთან უფრო „დაახლოვება“:

„ჩემს გამოსვლებში ყოველთვის ვცდილობ ხოლმე რომ ინტერსექციული ვიყო. იმიტომ რომ მართლა ძალიან ბევრი პრობლემა არის ამ ქვეყანაში, ამ საზოგადოებას კი გონია, რომ ეს ადამიანები და LGBTQI+ უფლებები და დისკრიმინაცია არის ჩვენთვის მარტო ერთადერთი პრობლემა. ჩვენ სულ ვცდილობთ ხოლმე რომ შეძლებისდაგვარად ვილაპარაკოთ იმაზე, რომ რეალურად ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა რაც არის, მაგალითად, სიღარიბე, უმუშევრობა, გარემოს დაბინძურება, ოკუპაცია, ეს ყველაფერი ძალიან გვაწუხებს ჩვენც. მართლა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები არის ჩვენთვის. უბრალოც ვცდილობთ ხოლმე ავხსნათ რომ ეს, სიტყვაზე, უმუშევრობა და სიღარიბე ჩვენს შემთხვევაში კიდევ ორმაგი ჩაგვრაა. ამას ემატება ის, რომ ხარ LGBTQI+ ადამიანი და კიდევ უფრო მარგინალიზებული ხარ და რთულია დასაქმებაც, მაგალითად, ტრანსგენდერი ადამიანის შემთხვევაში.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

დროთა განმავლობაში ნარატივის განვითარების დინამიკა ქალი და ქვიარ აქტივისტების შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავდება. ქალთა უფლებების აქტივისტები აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინ კიდევ უამრავი საკითხისათვის ბრძოლა ელით, 2011 წლის შემდეგ, ვითარება მათთვის დადებითად შეიცვალა. თუკი აქტივიზმის დასაწყისში გენდერული თანასწორობის საფუძვლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე სჭირდებოდათ მუშაობა და კანონებისა და ეროვნული პოლიტიკის დამტკიცებისთვის იბრძოდნენ (მაგ. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ან საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ), ახლა ერთი ნაბიჯით წინ არიან და უკვე არსებული კანონების უკეთესად აღსრულების საკითხზე მუშაობენ. რაც შეეხება ქვიარ ჯგუფებს, მათი ნარატივი უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად არ შეცვლილა, რადგან მათ ბრძოლა კვლავ გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებებისათვის უწევთ.

„[ქვიარ თემს სახელმწიფოსგან] არ აქვს აღიარებული რომ იცი რა, ჩვენც გვაქვს ქორწინების უფლება[30], იმიტომ არის მათი მთავარი ფოკუსი ბრძოლა სივრცეზე, გარეთ გამოსვლაზე. ჩვენ, ქალებს არ გვიწევს რომ ამისთვის აქცია გავმართოთ. [ქვიარ თემი] ამისთვის იბრძვის ბოლო რამდენი წელია, რომ ‘ვარსებობთ’ - აი ეს თქვან და ამისთვის არ სცემონ და მოკლან. აი ეს განსხვავებაა და ეს არის მთავარი, რაც პირველი ნაბიჯია და ვერ გადაიდგა.“ (ქალთა უფლებების აქტივისტი, თბილისი)

[30] 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, ოჯახი განისაზღვრა, როგორც ქალისა და კაცის კავშირი.

3.2. საზოგადოებაში ნარატივების გავრცელების ტაქტიკები

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტივისტებმა აქტივიზმის უნარები გაიუმჯობესეს. გამოცდილებამ ასწავლა, როგორ ჩამოეყალიბებინათ გზავნილები, როგორ აერჩიათ სამიზნე აუდიტორია, აქტივიზმის როგორი ფორმები გამოეყენებინათ საზოგადოების ჯეროვანი ყურადღების მოსაპოვებლად, რომელი სივრცეებითა და პლატფორმებით ესარგებლათ და ა.შ. და უფრო პროაქტიური აქტივიზმი წამოიწყეს.

ნარატივების გავრცელებისას აქტივისტები ორ სხვადასხვა მიდგომას მიმართავენ - „ემოციურ აქტივიზმსა“ და „რაციონალურ აქტივიზმს“.

ნარატივების გავრცელებისას ისინი აქტივიზმისადმი ორ სხვადასხვა მიდგომას მიმართავენ - „ემოციურ აქტივიზმსა“ და „რაციონალურ აქტივიზმს“. აქტივისტთა ერთი ჯგუფი, რომელიც ემოციური მიდგომის მომხრეა, თვლის, რომ გულწრფელობა და სპონტანურობა წარმატებული აქტივიზმის ამოსავალი წერტილია.

„ყველაზე მარტივი გამოსავალი არის გულწრფელობა. ნაკლები გაქვს დასაგეგმი და საფიქრალი. ძალიან მარტივია, არაფერში არ აიხლართები, საკუთარ თავთან ხარ მართალი.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

მეორე ჯგუფი რაციონალურ მიდგომას, ე.ი. - სტრატეგიისა და მოქმედებების გულდასმით დაგეგმვას ანიჭებს უპირატესობას. ეს აქტივისტები თითოეულ საპროტესტო თუ მხარდამჭერ კამპანიას წინასწარ გეგმავენ, წინასწარ გაწერილი „მესიჯბოქსებით“ და განსაზღვრული სტრატეგიით. არგუმენტებზე დაფუძნებულ დისკუსიებს აქტივისტები დისკურსზე კონტროლის დამყარების საშუალებად თვლიან და ამის წარმატებულ მაგალითად სექსუალური შევიწროების ირგვლივ წამოწყებული დისკუსია მოჰყავთ:

„როცა 8 მარტი ან 25 ნოემბერი იგეგმება, წინასწარ თანხმდება რა მესიჯი უნდა წავიდეს და რა ფორმით, რომ მეტ ხალხამდე მივიდეს და უფრო გასაგები გახდეს.“ (ქალთა უფლებების აქტივისტი, თბილისი)

გარდა ამისა, ზოგი აქტივისტი სამთავრობო ორგანოებთან და პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ არგუმენტებზე დაფუძნებულ სტრატეგიას მთავრობასთან დიალოგში საკუთარი დღის წესრიგის მხარდასაჭერად იყენებენ. ამასთან, ზოგი რესპონდენტი ფიქრობს, რომ პოლიტიკური პარტიების ჩართვაც მიზნის მიღწევის ტაქტიკად შეგვიძლია განვსაზღვროთ. კერძოდ, ისინი ცდილობენ, დაარწმუნონ პოლიტიკური პარტიები, რომ LGBTQI+ საკითხები წინასაარჩევნო პროგრამებში ჩართონ და ამით სამომავლო მოთხოვნების განსაზღვრასა და საკითხის სამომავლო განვითარებას ჩაუყარონ საფუძველი.

იმისათვის, რომ გზავნილის შინაარსი გასაგები და დასამახსოვრებელი იყოს და უფრო ფართო საზოგადოებას მისწვდეს, აქტივისტები მისი გავრცელების სხვადასხვა ფორმას იყენებენ. გზავნილის შინაარსის, ენისა და გავრცელების სტრატეგიის მთავარ განმსაზღვრელად აქტივისტები სამიზნე აუდიტორიას მიიჩნევენ. გზავნილის მიწვდენის ისეთ გავრცელებულ ფორმებთან ერთად, როგორიცაა საპროტესტო მსვლელობები და დემონსტრაციები, აქტივისტები ხშირად შემოქმედებით მიდგომებს მიმართავენ, მაგალითად, სხვადასხვა წარმოდგენებს და სახვით ხელოვნებას. ზოგი აქტივისტი საზოგადოებისათვის გზავნილის

მისაწოდებლად ტრადიციულ ელემენტებს იყენებს. ასეთი მიდგომა არსებულ საზოგადოებრივ დისკურსსა და მათ მიერ გავრცელებულ ნარატივს შორის არსებული სხვაობის შემცირების მცდელობას წარმოადგენს.

„ვცდილობდით, რომ მაქსიმალურად ქართული ელემენტები ყოფილიყო ამ ყველაფერში ჩართული. ეს „კინტო"-ს ტიპაჟიც ავიღეთ ამ ძველი თბილისის ტრადიციიდან, სადაც რეალურად ყველამ იცოდა, რომ კინტოები იყვნენ, ვთქვათ, ჰომოსექსუალები, მაგრამ ცხოვრობდნენ, არავინ მათ არ ქოლავდა." (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

გარდა ამისა, აქტივისტები დაკვირვებით არჩევენ სამიზნე აუდიტორიის და გავრცელების საშუალების შესაბამის ენას. რესპონდენტები ამბობენ, რომ აქტივიზმისათვის ყველა შესაძლო სივრცეს იყენებენ, როგორც ფიზიკურ სივრცეს ე.ი. - დემონსტრაციებსა თუ პირისპირ შეხვედრებს, ისე - ტრადიციულ და ონლაინ მედიას.

ტრადიციული მედია აქტივისტთა ნარატივების ფართო საზოგადოებაში გავრცელების ძირითად წყაროდ რჩება, ონლაინ მედია კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქტივისტების ახალგაზრდა აუდიტორიასთან დაკავშირებასა და ღონისძიებების ორგანიზებაში.

„ტელევიზიაში ყოველთვის ვეცდები წარმოვიდგინო, რომ ტელევიზიას უყურებს ჩემი 82 წლის ბებო. მე უნდა გავაგონო ეს ჩემი სათქმელი ჩემს 82 წლის ბებოს და ვუთხრა ძალიან ადამიანურ ენაზე, რომ მაქვს სიყვარულის უფლება და ამის გამო ნუ მცემ. როცა უფრო მეტად მინდა ვიყო გახსნილი და რადიკალური, როცა უფრო მეტად მინდა ვიყო ქვიარ ქალი, [ასეთ შემთხვევაში ჰოსტს] დავდებ ინსტაგრამზე." (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

3.3. მისაღები და მიუღებელი ნარატივები

აქტივისტების მიერ გავრცელებული ზოგი ნარატივი ფართო საზოგადოებისთვის უფრო მისაღებია, სხვები კი აუდიტორიაში კვლავ უკიდურესად ნეგატიურ რეაქციას იწვევს. აქტივისტების მიერ გავრცელებულ ნარატივებზე საზოგადოებრივი გამოხმაურება ამ საკითხების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას ასახავს.

საზოგადოებისთვის შედარებით მისაღები ნარატივია უკიდურესი ძალადობის - მათ შორის, ფემიციდის და ქალთა მიმართ ძალადობის კრიმინალიზაციის საკითხები. რესპონდენტების თქმით, როცა ამ საკითხებზე საუბრობენ, ფართო საზოგადოებისგან ნაკლებ აგრესიას იღებენ. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები უფრო მეტ შემწყნარებლობას და მხარდაჭერას მაშინ იჩენენ, როცა მსხვერპლი უმწეო და მოწყვლადია.

თუმცა, გზავნილების უმეტესობა მიუღებლად რჩება და საზოგადოების ნეგატიურ გამოხმაურებას იწვევს. ყველაზე მიუღებელი ნარატივი ქალების სექსუალობას და ქალის სხეულს უკავშირდება - კერძოდ, სექსუალურ იდენტობას, სექსუალურ თავისუფლებას, სექსუალურ შევიწროებას, სექსუალურ განათლებას, რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებას და აბორტს. ამ თემებზე საზოგადოებრივ დისკუსიას ფართო საზოგადოებისგან ყოველთვის უზარმაზარი აგრესია და უარყოფითი რეაქცია მოჰყვება. მეტიც, როცა აქტივისტების ნარატივი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კრიტიკას შეიცავს, საზოგადოების მხრიდან ნეგატიური რეაქცია კიდევ უფრო იზრდება.

საკითხები, რომლებიც ქალების სექსუალობას და ქალის სხეულს, უკავშირდება, ფართო საზოგადოებისთვის ყველაზე მიუღებელია.

„ქალების შემთხვევაში სექსუალური თავისუფლების საკითხი არის ყველაზე კრიტიკული. „ქალები საქართველოდან“[31] გვერდზეც ყველაზე დიდი რამ, რაზეც შეიძლება დაიქცეს გვერდი, არის როცა ქალი იწყებს თავის სექსუალობაზე საუბარს, როცა არის ლესბოსელი ქალის ამბავი. თუ ლგბტ თემი სადმე ჩანს, მაშინვე „წითელი ენთება“ საზოგადოებას.“ (ქალთა უფლებების აქტივისტი, თბილისი)

აქტივისტთა ნარატივების მიმღებლობა დედაქალაქსა და რეგიონებში განსხვავებულია. მაგალითად, შეუსაბამობა ქალის, როგორც დედისა და ცოლის ტრადიციულ როლსა და ქალთა ემანსიპაციას შორის, რეგიონებში ნაკლებად მისაღებია. დედაქალაქში მიუღებელი საკითხები, მაგალითად, LGBTQI+ პრობლემები კი რეგიონებში ტაბუდადებულია.

„სტატია მქონდა განქორწინების პროცედურის შესახებ. სამართლებრივ რეგულაციებს ხსნიდა ჩვენი ერთ-ერთი ჯგუფის წევრი, რომელიც ასევე ადვოკატია, ანუ რა ეტაპები უნდა გაიაროს ქალმა, თუ მას სურს განქორწინება. ამას საკმაოდ ცუდი რეაქციები მოყვა [საზოგადოების მხრიდან].“ (ქალთა უფლებების აქტივისტი, რეგიონი)

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აქტივისტებთან ინტერვიუებში ოდნავ განსხვავებული დინამიკა გამოვლინდა. მათ ხაზი გაუსვეს, რომ თემის გარეთ თემის პრობლემების განხილვა მიუღებელია და თემის „ღალატად“ აღიქმება. ეს კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალთა უფლებების აქტივისტების ნარატივებს საზოგადოების წევრებისთვის კიდევ უფრო მიუღებლად აქცევს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის კონტექსტის ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები გასულ ათწლეულში უფრო გაძლიერდნენ. მათი ანტიდასავლური ნარატივები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დისკურსს ემთხვევა, რაც, თავის მხრივ, მათდამი საზოგადოების მაღალი ნდობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას. საზოგადოების მიერ მხარდაჭერილი ერთად აღებული ეს ორი აქტორი, საგრძნობლად განსაზღვრავს ქალი და ქვიარ აქტივისტების სივრცეს, განაპირობებს რა დისკურსულ კონტექსტს და აქტივიზმისათვის მტრულ გარემოს ქმნის. ქალი და ქვიარ აქტივისტები, რომლებიც ასეთ არაკეთილგანწყობილ კონტექსტში ოპერირებენ, მათი აქტივიზმის სივრცის შეზღუდვას განიცდიან. საკუთარი დღის წესრიგის განსახორციელებლად ისინი მრავალფეროვან ტაქტიკებს მიმართავენ. ამ პროცესში აქტივისტები სხვადასხვა საფრთხისა და დაბრკოლების წინაშე დგებიან, რომლებსაც დაწვრილებით მომდევნო თავებში განვიხილავთ.

[31] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ.

4. ქალი და ქვიარ უფლებადამცველების სივრცის შეზღუდვა

ზემოთ განხილული ქვეყნის კონტექსტიდან და ქალთა და ქვიარ აქტივიზმის ანალიზიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სივრცის შეზღუდვის რისკი მაღალია. გასულ ათწლეულში მომხდარი შემთხვევები და კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ ქალი და ქვიარ აქტივისტების აქტივიზმის ფუნდამენტური უფლებები - მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვან დაბრკოლებას აწყდება.

საჯარო სივრციდან ფიზიკური და სიმბოლური გაძევება LGBTQI+ თემის მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების ყველაზე თვალსაჩინო დარღვევაა. როგორც ზევით აღინიშნა, 2013 წლის 17 მაისს ათასობით რადიკალური მემარჯვენე ექსტრემისტი თავს დაესხა ჰომოფობიასთან, ბიფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის (IDAHOT) აღმნიშვნელი დემონსტრაციის მონაწილეებს და მშვიდობიანი დემონსტრაცია ჩაშალეს. მათ აქტივისტებისთვის ფიზიკური სივრცის წართმევა შეძლეს.

მომდევნო წელს, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 17 მაისი „ოჯახის სიწმინდის დღედ“ გამოაცხადა. ეს სივრცის სოციალურ და სიმბოლურ დონეებზე შეზღუდვის პირდაპირი მანიფესტაცია იყო. ამ აქტით საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ „ოჯახური ღირებულებები“, რომელიც ქართული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, LGBTQI+ უფლებებს დაუპირისპირა, რომელიც ოჯახისადმი ყველაზე დიდ საფრთხედ აღიქმება.

ეს ყოველი წლის 17 მაისს რადიკალ მემარჯვენეთა და LGBTQI+ აქტივისტებს შორის დამატებით შეტაკებებს იწვევს. მაგალითად, 2018 წელს LGBTQI+ აქტივისტებს თავიანთი ღონისძიების გაუქმება მოუწიათ, რადგან რადიკალური მემარჯვენე ჯგუფებისგან მაღალი საფრთხე იყო მოსალოდნელი. შეკრება მხოლოდ აქტივისტთა მცირე რაოდენობამ მოახერხა, ისიც - მოკლე ხნით. ამასობაში, თბილისის ცენტრალურ ქუჩებზე რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ათასობით წარმომადგენელმა და მხარდამჭერმა მოაწყო მსვლელობა[32].

ეკლესიამ „ოჯახური ღირებულებები“, რომელიც ქართული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, LGBTQI+ უფლებებს დაუპირისპირა, რომელიც ოჯახისადმი ყველაზე დიდ საფრთხედ აღიქმება.

„ოჯახის სიწმინდის დღე“ IDAHOBIT აქტივობებს ემთხვევა. მასმედიისა და საზოგადოების ყურადღება „ოჯახის სიწმინდის დღისკენ“ არის მიმართული, რომელსაც ქართველი მღვდლები უძღვებიან და რომელშიც ათასობით მართლმადიდებელი ქრისტიანი მონაწილეობს. სოციალურ სივრცეში, IDAHOBIT-ს „ოჯახის სიწმინდის დღის“ საზეიმო ღონისძიებები ჩრდილავს და IDAHOBIT-ის მთავარი მიზანი - ჰომოფობიის,

[32] დამატებითი ინფორმაცია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

ტრანსფობიისა და ბიფობიის საწინააღმდეგო ცნობიერების ამაღლება - მიუღწეველი რჩება. IDAHOBIT-ს მხოლოდ ვიწრო საზოგადოებრივ ჯგუფებში ცნობენ. რაც შეეხება ფიზიკური სივრცის დაკავებას - თბილისის ცენტრალურ ქუჩებს, ჩვეულებრივ, „ოჯახის სიწმინდის დღე“ იკავებს. რამდენადაც ამ ღონისძიების მასშტაბი და მისი მონაწილეების რაოდენობა IDAHOBIT-ის ღონისძიებისას აღემატება, როგორც წესი, IDAHOBIT-ის მონაწილეებს ქალაქის მთავრობა სხვა, ქალაქის ცენტრისგან დაშორებული, უფრო იზოლირებული სივრცეების დაკავებას ურჩევს. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს იმას, რომ IDAHOBIT-ი ფართო საზოგადოებრივ ყურადღებას ვერ იპყრობს.

„[სახელმწიფოს] მიდგომა არის, მათ შორის ლგბტქ აქტივისტების მიმართ, აქციების, 17 მაისების და პრაიდის მიმართ, წლების განმავლობაში ისე შეგვაშინონ, და ისეთი პირობები შეგვიქმნან, ჩვენით გავაუქმოთ. პირდაპირ ვერ აგვიკრძალავენ, არ შეუძლია სახელმწიფოს რომ მშვიდობიანი შეკრება, რომელიც ხვდება კონსტიტუციურ ფარგლებში, აკრძალოს. ამიტომ ყველაზე მარტივი გამოსავალი არის ‘დაგაქენსელებინონ’ შენით, ისე შეგაშინონ. [...] პირდაპირ ჩვენი ‘შეიძინგი’ და წნეხი ხდებოდა. [გვეუბნებოდნენ] რომ გააუქმეთ, ხომ ხედავთ რეები ხდება, შენ იწვევ ამას.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

2019 წელს „თბილისი პრაიდი“ ვერ გაიმართა გეგმის მიხედვით და ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ შეეცვალათ აქტივობები, რადგან სახელმწიფომ ღიად განაცხადა, რომ პოლიცია ვერ შეძლებდა პრაიდის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ „თბილისი პრაიდთან“ არ ითანამშრომლა და მონაწილეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფაზე უარი განაცხადა[33]. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ოფიციალურად არ კრძალავს LGBTQI+ თემის შეკრებას, მათი უფლებებისა და უსაფრთხოების დასაცავად კონკრეტული ზომები არ ხორციელდება. მეტიც, მთავრობა ირიბად ემხრობა ამ ჯგუფებისთვის სივრცის შეზღუდვის პროცესს, როცა აქტივისტებს აკისრებს რადიკალ მემარჯვენეთა მხრიდან მათზე განხორციელებულ ძალადობაზე პასუხისმგებლობას და შესაბამისად, აქტივისტებს თვითშეზღუდვასა და თვითცენზურას აიძულებს. ფორმალურად, აქტივისტთა ჯგუფებს აქვთ მშვიდობიანი შეკრების უფლება, თუმცა პრაქტიკაში ეს უფლება ვერ ხორციელდება.

LGBTQI+ საკითხებთან დაკავშირებული თავყრილობებისა და ღონისძიებების ჩაშლის მცდელობის ტაქტიკას, როგორც სივრცის შეზღუდვის ექსტრემალურ გამოვლინებას, რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები ხშირად იყენებენ. ამის მაგალითად გამოდგება ფილმის, „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ჩვენების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები. 2019 წლის ნოემბერში რადიკალურმა მემარჯვენე ჯგუფებმა ფილმის დაგეგმილი ჩვენება გააპროტესტეს და ხალხს კინოთეატრის შენობაში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ზოგი მათგანი ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი გახდა და დაშავდა[34].

უნდა ითქვას, რომ ქალთა უფლებების აქტივისტებს საჯარო სივრცეზე მეტი წვდომა აქვთ - LGBTQI+ აქტივისტებისგან განსხვავებით, მათ შეკრების უფლებითა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა შეუძლიათ. თუმცაღა, სახიფათო პრაქტიკებს მოწინააღმდეგეები მათ წინააღმდეგაც მიმართავენ, რასაც მომდევნო თავებში განვიხილავთ. გარდა ამისა, როგორც ინტერვიუებში ქვიარ აქტივისტებმა აღნიშნეს, ქვიარ ქალებზე სივრცის შეზღუდვა უფრო

[33] დამატებითი ინფორმაცია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

[34] დამატებითი ინფორმაცია ქართულ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე.

მკვეთრ გავლენას ახდენს, რამდენადაც ქალთა უფლებების აქტივიზმის დღის წესრიგს ჰეტეროსექსუალი ქალები წარმართავენ, ქვიარ სივრცეზე კი ქვიარ მამაკაცები დომინირებენ.

„ლგბტ აქტივიზმში ჰარადი მიყავთ გეი კაცებს. მიუხედავად იმისა, რომ გამწევი ძალა ვართ ქალები, და მიუხედავად იმისა, რომ სულ ამბობენ, დაბალანსებული უნდა იყოს ორგანიზაციაში, საბოლოოდ გადახედავ და მენეჯმენტი არის კაცი.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

როგორც ზევით განხილული ქეისები მოწმობს, სახელმწიფოს LGBTQI+ აქტივისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ შეუძლია. სახელმწიფო აქტივისტებს რადიკალური ჯგუფებისგან ვერ იცავს და სთხოვს, მოსაზრებები ღიად არ გამოხატონ და საჯარო სივრცეს გაეცალონ. ამგვარად, LGBTQI+ აქტივისტები მათი ფუნდამენტური უფლებებით - გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებით ვერ სარგებლობენ.

ზემოხსენებული მაგალითების გარდა, სივრცის შეზღუდვა ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტების ყოველდღიურობაშიც ვლინდება. აქტივიზმისთვის სივრცის შეზღუდვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა **მუშაობაში ხელის შეშლაა.** როგორც თბილისელი, ისე - რეგიონებში მცხოვრები აქტივისტები აღნიშნავდნენ დაბრკოლებებს, რომლებსაც სხვადასხვა აქტორები მუშაობაში ხელის შეშლის მიზნით უქმნიდნენ. მაგალითად, ქალთა უფლებების ახალგაზრდა აქტივისტმა რეგიონიდან მოგვითხრო, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავი პოსტერების გავრცელება დაუშალა. ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ოფისს ვერ ქირაობენ, ან LGBTQI+ საკითხთან დაკავშირებული პერფორმანსისთვის სივრცე ვერ იშოვა და სერვისის ზოგიერთმა მიმწოდებელმაც კი უარი უთხრა თანამშრომლობაზე. ერთმა აქტივისტმა, რომელმაც სექსუალური განათლების შესახებ ვიდეოები ჩაწერა, აღნიშნა, რომ დონორები დაფინანსებას უზღუდავენ მისი წარსული აქტივიზმის გამო, რომელმაც გარკვეულ ჯგუფებში უკიდურესად ნეგატიური რეზონანსი გამოიწვია.

„[დონორები] მაძლევენ ფულს, ოღონდ სხვა რაღაცეებისთვის. მესმის მაგათიც, ვერც წარმოიდგენდნენ ალბათ დონორები, თუ ესეთი ტიპის რაღაც მოხდებოდა. სარისკოა მოკლედ ამ საკითხებზე [მუშაობა]. [...] ანტისახელმწიფოებრივად რომ გაცხადებენ შენს ქვეყანაში, მერე ხო ანუ.. [ფიქრობენ] ღირს თუ არა შენ მხარი დაგიჭირონ. კონტექსტი ხომ არ იციან რა მოხდა, და ამიტომ, მიწევს მერე მე ახსნა და მტკიცება, რომ აქ არაფერს ცუდს არ ვაკეთებ. (ქალთა უფლებების აქტივისტი, თბილისი)

საჯარო სივრცესთან ერთად, აქტივისტებისთვის უსაფრთხო პირადი სივრცეებიც იზღუდება. სახლიდან გამოგდება, სხვადასხვა მომსახურების მიღების პრობლემები და ქვეყნიდან იძულებით წასვლა ტრანს აქტივისტებს შორის გავრცელებული პრობლემებია.

რესპონდენტებმა ისიც ახსენეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას თავს არიდებდნენ და არაფორმალურ უსაფრთხო სივრცეებსაც კარგავდნენ.

„ყველაზე უსაფრთხოდ სადაც მეგონა თავი, მუსიკალურ ფესტივალზე, რომ ვერ წარმოვიდგენდი, აქციაზე მაინც ელი საფრთხეს და მანდ ოდნავადაც არ ველოდი. მანდაც კი დავდექი მაგის [ფიზიკური თავდასხმის საფრთხის] წინაშე.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

სივრცის შეზღუდვის ზემოაღწერილი შემთხვევები ნათლად გვიჩვენებს, რომ ქალ და ქვიარ აქტივისტებს საქართველოში გამოხატვის თავისუფლებასა და მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე შეზღუდული წვდომა აქვთ. მიუხედავად ამისა, აქტივისტები მიზნის მიღწევისკენ ისწრაფვიან და ცდილობენ, სივრცის შეზღუდვის მიუხედავად, საკუთარი დღის წესრიგი სისრულეში მოიყვანონ. ამ პროცესში ისინი არაერთ საფრთხესა და დაბრკოლებას აწყდებიან, რაც მათ პროფესიულ და პირად უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ძლიერ გავლენას ახდენს.

4.1. ქალი და ქვიარ აქტივისტების წინაშე არსებული საფრთხეები

სივრცის შეზღუდვის შემთხვევათა ზემოაღწერილი ანალიზი, ისევე როგორც რესპონდენტებთან ჩაწერილი ინტერვიუები მიუთითებს, რომ ქალი და ქვიარ აქტივისტებისათვის საფრთხის მთავარ წყაროს რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენენ. გარდა ამისა, რესპონდენტებმა აქტივისტებისთვის დამატებითი საფრთხის შემქმნელ ჯგუფებად დაასახელეს ტროლების ფაბრიკები, რადიკალური მემარჯვენე იდეოლოგიის მომხრე პოლიტიკური პარტიები, ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუცია, რომელიც აქტივისტთა უსაფრთხოებას არ უზრუნველყოფს და რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებთან დაკავშირებული ფიგურები. ამ ჯგუფებისაგან ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტები ყოველდღიურ პროფესიულ და პირად ცხოვრებაში სხვადასხვა ტიპის საფრთხეებს აწყდებიან.

ბულინგსა და სიძულვილის ენას კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი განიცდის. ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტები ბულინგს სხვადასხვა ფორმით ყველგან აწყდებიან, ფიზიკური სივრციდან - ონლაინ ბულინგამდე.

ბულინგი, რომელსაც ქალი აქტივისტები განიცდიან, უმეტესად გენდერული ნიშნით ხორციელდება, ე.ი. მათ აკრიტიკებენ გარეგნობის, ან „ცუდი დედობის“ გამო.

ბულინგის გავრცელებულ ფორმებს, რომელთან გამკლავებაც ქალ აქტივისტებს უწევთ, ასევე მიეკუთვნება ე.წ. „სლატ შეიმინგი“ (ქალების სტიგმატიზაცია ვინმეს მიერ სექსუალურად მაპროვოცირებლად აღქმული ქცევის გამო - მთარგმ.შენ.), დაცინვა, არასერიოზულად აღქმა და პროფესიული დისკრედიტაცია.

„მაშინ დავწერე [ბლოგი] და ფოტო გადამიღეს. რომ ნახოთ ეს ფოტო, აი რამდენიმე დღის განმავლობაში თითქოს 10 წელი მოემატა, იმდენად მეტყობა სახეზე მთელი ეს სტრესები და უძილობები,შფოთვა და ყველა უბედურება რაც იმ პერიოდში გავიარე. ეს სურათი მახსოვს რომ ძალიან ატრიალეს: მაგან კანის მოვლაც არ იცის, და თმა დაუბანელი [...] რა ეპითეტებითაც მე მამკობდნენ, რა შინაარსითაც ხდებოდა ჩემი ბულინგი ძალიან არის გადაჯაჭვული ჩემს გენდერულ იდენტობასთან. პირდაპირ მომიხსენიებდნენ როგორც ბოზს, „ეს ხო ქალი არ არის“, „ამან შვილი როგორ უნდა გაზარდოს“, მე როგორც დედა დავკნინდი ამავდროულად და რაღაც ღირებულება დავკარგე, იმიტომ რომ დედა არ შეიძლება იყოს ასეთი.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

„არის ძალიან დიდი ზიზღი, აგრესია. ეს გამოიხატება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეტაპზე. იქნება ეს ჩემი ტელევიზორში, თუ ვთქვათ სოციალურ ქსელებში გამოჩენა და ამაზე რეაქციები, იქნება რაღაცა აქციაზე გამოსვლა და იქ ადგილზე ძაან დიდი

შეურაცხყოფები და აგრესია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე არის ძალიან დიდი ბულინგი, სიძულვილის ენის გამოყენება და აგრესია.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

აქტორის, როგორც აქტივისტის და პროფესიონალის **დისკრედიტაცია** ძალზე გავრცელებული საფრთხეა, რომლის წინაშეც ქართველი ქალი აქტივისტები დგანან. ეს ერთი მხრივ, აქტივისტებისა და მათი სამუშაოს შესახებ ყალბი ინფორმაციის გავრცელების გზით, ან მათი სიტყვების განზრახ არასწორად ინტერპრეტირების მეშვეობით ხდება, რაც აქტივისტის პროფესიონალიზმის ეჭვქვეშ დაყენებასა და დაკნინებას იწვევს. აქტივისტთა ჯგუფის დისკრედიტაციის მეორე ტაქტიკაა მათი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან აფილირება, რასაც საზოგადოების მხრიდან ნდობისა და მხარდაჭერის დაკარგვა მოსდევს. საბოლოოდ, ეს ქალი და ქვიარ აქტივისტების კარიერულ პრობლემებს უკავშირდება, რომელთა წინაშე ისინი ხშირად დგებიან.

„მე მგონია რომ კარიერაში ძალიან სერიოზული შეფერხებები შეიძლება გამოიწვიოს [აქტივიზმში ჩართვამ]. [...] მე ვიცი, რომ ეხლა ძალიან ბევრ სამსახურში პირდაპირ მაქვს კარი ჩაკეტილი. საჯარო სამსახურს რომ თავი დავანებო, უბრალოდ ბევრი არ ამიყვანს ჩემი აქტივიზმის გამო.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

აქტივისტებს **ფიზიკური საფრთხეებიც** ემუქრება - მათ შორის, ფიზიკური თავდასხმა, დაშინება, სამუშაო სივრცეზე თავდასხმა, სექსუალური შევიწროება და სექსუალური საფრთხე. ეს საფრთხეები ძირითადად იმ ჯგუფებს მიემართება, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს უპირისპირდებიან - მაგალითად, ოჯახურ ტრადიციებს. ამრიგად, აქტივისტებს, რომლებიც იბრძვიან LGBTQI+ უფლებებისთვის, სექსუალური განათლებისთვის და ზოგადად, სექსუალობისთვის, ფიზიკური საფრთხე ყველაზე მეტად ემუქრებათ. ქალ აქტივისტებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შესაძლოა, ყველა ზემოაღწერილთან ერთად, გატაცების საფრთხეც ემუქრებოდეს.

„როდესაც რადიკალური ჯგუფები მიტევდნენ აბორტის თემაზე, ამბობდნენ, რომ შენი სხეულიც დასაკუწია, როგორც საშვილოსნოში კუწავთ ნაყოფებს.“ (ქალთა უფლებების აქტივისტი, თბილისი)

„ის ფემინისტები, ვინც ცდილობენ რომ დაარტყან სექსუალობაზე ტაბუებს, თქვან, რომ კაცები არ აინტერესებთ, არიან ქვიარები და ამ თემებზე წერენ, განსაკუთრებულად დიდი საფრთხეების ქვეშ არიან. იმიტომ, რომ ისინი უკვე აღარ არიან ის ქალები, რომელსაც საზოგადოება და კაცი პატივს სცემს. ანუ ქალებიც აღარ არიან რეალურად. ამიტომ, აი ქალია და არ დავარტყავ [აღარ არის რელევანტური]. ვიცი, რომ დაჭირდეს, დამარტყავს.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

თვალთვალი, შანტაჟი, სამუშაო/აქტივიზმის გეგმებთან დაკავშირებული შიდა ინფორმაციის გაჟონვა, პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროება ან ამის მუქარა - ეს საფრთხის განსხვავებული ტიპია, რომელიც უმეტესად ციფრულ სივრცეში იჩენს თავს და რომელსაც, ჩვეულებრივ, კონკრეტული ჯგუფები მიმართავენ საგანგებო ღონისძიებების - მაგ. დემონსტრაციებისა და LGBTQI+ მსვლელობების - წინ ან შემდეგ. მაგალითად, აქტივისტები 2019 წლის „თბილისი პრაიდის“ ფარგლებში შეკრებას გეგმავდნენ, თუმცა, ღონისძიების წინა დღეს შეკრების ადგილის შესახებ ინფორმაციამ გაჟონა და აქტივისტებს ღონისძიების გაუქმება მოუწიათ. რესპონდენტები აღიარებენ, რომ სოციალური ქსელი და ციფრული სივრცე, ზოგადად, დამატებით საფრთხეებს უკავშირდება, რადგან ციფრულ

ეპოქაში ინფორმაციის მოპოვება ადვილია. შესაბამისად, საკუთარი პროფილებისა და მათზე საჯარო ინფორმაციის სამართავად დამატებითი უნარები ესაჭიროებათ, თუმცა, ბევრ აქტივისტს ასეთი უნარები არ აქვს.

ოჯახი და ოჯახის წევრების კეთილდღეობა ყველასათვის მგრძნობიარე და მნიშვნელოვანი საკითხია. ამ ფაქტორს ცალკეული ჯგუფები ძალიან ხშირად იყენებენ აქტივიზმისთვის ხელის შესაშლელად. ოჯახის წევრებით მანიპულირება, ან **ოჯახის, განსაკუთრებით, ბავშვების მიმართ მუქარა** ამ კვლევის ყველა რესპონდენტს გამოუცდია. საფრთხე, რომელიც ოჯახს შესაძლოა, მისი აქტივიზმის გამო ემუქრებოდეს, ქალთა უფლებების დამცველებს და ქვიარ აქტივისტებს ძალზე მოწყვლადად აქცევს - ეს ის ზღვარია, რომელზე მდგომ აქტივისტებს ხშირად ყველაფერზე უარის თქმა და დანებებაც კი უფიქრიათ.

„მართლა შიში ვიგრძენი, როდესაც ჩემი შვილის მისამართით წავიკითხე მოწოდება, რომ 'ამის შვილი უნდა გავუპატიუროთ'. მაგ დროს დამაჟრიალა, ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი და თან ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა დამეუფლა, საშინელი დანაშაულის განცდა. სიმამაცე ადვილია, როცა მხოლოდ შენი თავი გეკუთვნის. როცა სხვა ადამიანი შენზეა დამოკიდებული, უკვე აღარ ხდება ადვილი.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

„საერთოდ არ მაქვს დაცულობის განცდა. როგორ უნდა მქოდეს დაცულობის განცდა, როცა ჩემი სახლის მისამართი და ყველაფერი - როგორ ვჭამდი და ვსუნთქავდი, იცოდნენ ამ ადამიანებმა. რეალური საფრთხე მოდიოდა მათგან, არა მარტო ჩემი მისამართით, ჩემი ოჯახის მისამართით.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

ოჯახის წევრებს ასევე ხშირად იყენებენ მანიპულაციის იარაღად. მაგალითად, თუ ოჯახის წევრი სახელმწიფო ორგანიზაციის თანამშრომელია, შეიძლება ის აქტივისტს იმ მიზნით მიუგზავნონ, რომ რამის გაკეთება, ან თქმა გადააფიქრებინოს.

„ფეისბუქზე ოფიციალურად ბოდიში მოვიხადე ჩემი ძმის სამსახურის გამო. მუშაობდა და უბრალოდ კაცურად სთხოვეს, რომ შენ უფროსი ხარ და უნდა სთხოვო. [...] მაშინ, ძალიან მოკლე პერიოდით, მე ოჯახის გამო რაღაცეები გავაჩერე, ვიფიქრე, რომ ცოტა ხანი ცოტა ხმადაბლა ვისაუბრო.“ (ქალთა უფლებების აქტივისტი, ეთნიკური უმცირესობების თემი)

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტების შემთხვევაში, საფრთხის ტიპი და შინაარსი მათი გენდერული იდენტობით არის განპირობებული. ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტების მიმართ ფიზიკურ საფრთხეს ხშირად სექსუალური დატვირთვა აქვს და გაუპატიურების მუქარას მოიცავს. აქვე გვხვდება აქტივისტთა კრიტიკა მათი გარეგნობის გამო და მათი, როგორც ქალისა და დედის როლის დისკრედიტაცია ამ ორი როლის ტრადიციული გაგების მიხედვით. ზოგ შემთხვევაში, ქვიარ აქტივისტებს ქალებად არ განიხილავენ, რაც მუქარის ავტორი ჯგუფების მიერ აგრესიული ქმედებების გამამართლებელ საბუთად გამოიყენება.

4.2. ფაქტორები, რომლებიც არსებულ საფრთხეებს ზრდის

საფრთხეები, რომელიც ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტებს ემუქრება, მათ დაუცველობას ზრდის და აქტივიზმს რისკის ქვეშ აყენებს. თუმცა, რესპონდენტებმა დამატებითი ფაქტორები დაასახელეს, რომლებიც მტრული გარემოს მიმართ მათ მოწყვლადობას აძლიერებს.

აქტივისტთა **ხილვადობის** ზრდასთან ერთად, მათი უსაფრთხოება და დაცულობა იკლებს. ეს ზოგადად, აქტივიზმისათვის განუყოფელი პრობლემაა, რადგან აქტივიზმი მოსაზრების ხმამაღლა გამოთქმას, ცნობადობას და

საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ყურადღების მიპყრობას გულისხმობს. აქტივისტთა - განსაკუთრებით, ქვიარ აქტივისტების - ნონკონფორმული გარეგნობა ამ რისკს ზოგჯერ საგრძნობლად ზრდის. თუმცა, როგორც აქტივისტები ამბობენ, გაზრდილი ხილვადობის ამ თანამდევ ეფექტს ნათლად იაზრებენ.

„განსაკუთრებით დაუცველები არიან ის ქალები, რომლებიც ბედავენ და იბრძვიან თავისუფლებისთვის. განსაკუთრებული საფრთხეების ქვეშ ვდგებით ალბათ ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად ვიბრძვით უკვე არა მხოლოდ პირადი თავისუფლებისთვის, ლოკალურად ჩვენს პირად სივრცეში, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივ დონეზე, და აქტივიზმში ვართ ჩართულები. შესაბამისად, უფრო ბევრისთვის ვართ ხელმისაწვდომნი, უფრო მეტისთვის ვართ გამაღიზიანებელი, და ფაქტობრივად, გაცნობიერებულად ვიგდებთ თავს საფრთხეში.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც რესპონდენტთა უმრავლესობამ ახსენა, იყო **სახელმწიფო ინსტიტუციები, რომლებსაც არ ენდობიან**, რადგან ისინი სხვადასხვა სიტუაციაში აქტივისტთა უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ. რესპონდენტებმა გაიხსენეს, რომ სახელმწიფო სააგენტოებთან თანამშრომლობის მცდელობა ჰქონდათ და დემონსტრაციების დროს პოლიციის მხრიდან დაცულობის გარანტიას ითხოვდნენ. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ან არ აღუთქვამს ასეთ გარანტიებს, ან ამის სანაცვლოდ კომპრომისებს, ან სულაც, ღონისძიების გაუქმებას ითხოვს, როგორც ეს 2019 წლის „თბილისი პრაიდის“ შემთხვევაში მოხდა. აქტივისტებმა პოლიციის მიერ გამოუძიებელი შემთხვევებიც ახსენეს. მაგალითად, აქტივისტმა, რომელსაც ძალადობითა და მკვლელობით დაემუქრნენ, იჩივლა, თუმცა, მისი თქმით, ამ საქმეში ეჭვმიტანილი პირებიდან დაკითხვაზე არცერთი არ დაუბარებიათ. კიდევ ერთი ნიშანდობლივი შემთხვევა, რომელიც სახელმწიფოსადმი აქტივისტების უნდობლობას გასაგებს ხდის, პოლიტიკოსს ეხება, რომელმაც LGBTQI+ თემის წარმომადგენელს შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა ამისთვის მხოლოდ 1 ლარით დააჯარიმეს[35].

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ინსტიტუციებს ერთგვარი ჰიბრიდული პოზიცია უკავია. სახელმწიფოს ეროვნული და საერთაშორისო კანონები ყველას, მათ შორის - ქალი და ქვიარ აქტივისტების - დაცვას ავალებს. შესაბამისად, აქტივისტები მასთან თანამშრომლობის გზებს ეძებენ, მაგრამ ამავე დროს, სახელმწიფოს მიმართ შიშს გამოხატავენ. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მოქმედებას კონტექსტის შესაბამისად ცვლის. თუკი ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტების დაცვა უფრო ფართო საზოგადოების პროტესტს იწვევს და ამით სახელმწიფოს უქმნის საფრთხეს, სახელმწიფო უმრავლესობის მხარეს იჭერს.

> *„მე სახელმწიფოსი ისე შეშინია, როგორც ‘ფარ-რაითის’.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)*

„როცა რაღაცას ვგეგმავთ და გვინდა რომ პარტნიორების და მოწინააღმდეგეების ანალიზი გავაკეთოთ, ძალიან ვიჭედებით ხოლმე როდესაც შსს-ს მივადგებით. იმიტომ რომ თან გვიწევს მათთან გვქონდეს პარტნიორული, თანამშრომლური ურთიერთობა, რადგან მაგის გარეშე უბრალოდ ვერაფერი გამოვა. როცა აქციას აკეთებ და მითუმეტეს ისეთ აქცას, რომელიც შეიძლება იყოს რეზონანსული, ყველა ვარიანტში

[35] დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ.

გჭირდება უსაფრთხოების გარანტიები და დაცვა. ეს შენი უფლებაა. შენ მადლიერი კი არ უნდა იყო მაგისთვის. ეს არის ამ ხალხის [შსს] ვალდებულება.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, მედია აქტივიზმის მხარდამჭერად ითვლება, ზოგ შემთხვევაში, **მედიის მიერ არაეთიკური გაშუქება** დამატებით საფრთხეს ქმნის. მაგალითად, როცა ერთ-ერთი LGBTQI+ ორგანიზაციის ოფისში IDAHOBIT-ისათვის მიძღვნილი ღონისძიება იგეგმებოდა, ჟურნალისტები ამ პროცესის გასაშუქებლად პირდაპირ ოფისთან მივიდნენ და ოფისის წინ ცოცხალ რეჟიმში შეუდგნენ მაუწყებლობას, რამაც ოფისის მდებარეობის უნებურად გახმაურება გამოიწვია. ზოგადად, მხარდამჭერი იქნება მედია თუ საფრთხის შემცველი, ეს ინდივიდუალურ მედიასაშუალებებზე და ჟურნალისტებზეა დამოკიდებული.

„ყველამ გაიგო ჩვენი მისამართი და დაახლოებით ერთ კვირაში თავს დაგვესხნენ ოფისში. ჩვეულებრივი გავლაც კი შეუძლებელი იყო მაგ ქუჩაზე ვიღაცას „პიდარასტო“ არ მოეძახა, ან არ შეეგინებინა. [...] მგონია, რომ ეს ჟურნალისტების მიერ არაეთიკური გაშუქებაც საკმაოდ პრობლემური არის ჩვენთვის. შეიძლება პირიქით, უფრო მეტი პრობლემაც კი შექმნას. “ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

რესპონდენტებმა თავად აქტივისტთა ჯგუფების მიერ განპირობებული ფაქტორებიც განიხილეს, რომლებიც მათდამი მტრულ გარემოს დამატებით კვებავს. ასეთ ფაქტორებდ შეგვიძლია განვიხილოთ **დაპირისპირება აქტივისტთა ჯგუფებს შორის, სოლიდარობის უკმარისობა და არაკოორდინირებულობა.** რესპონდენტები არაკოორდინირებულ აქტივობებს სხვა აქტივისტების დაზარალების მიზეზად ასახელებდნენ. ურთიერთდაპირისპირება LGBTQI+ აქტივისტთა ჯგუფებისთვის უფრო მწვავე პრობლემაა. ჯგუფებს სხვადასხვა პრიორიტეტები და ინტერესები აქვთ, რაც მათ შორის დაპირისპირებას იწვევს.

„მოძრაობებს შორის გვაქვს ძალიან დიდი დაპირისპირების გამოცდილება. 2018 წელს დაიწყო, ანუ ზუსტად იმ დაშინებების პოლიტიკის [მიზანი] რაც იყო, რაღაც ინფორმაციის შემოგდება. ძალიან ერთიანი სიტუაცია [იყო] და ძალიან დავიქსაქსეთ და დავჭამეთ ერთმანეთი. ჯოჯოხეთი გამოვიარეთ და გრძელდება დღემდე.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

აქტივისტთა ჯგუფებს შორის პრობლემები, რომელიც ინტერესთა სხვადასხვაობით არის გამოწვეული და ძალაუფლების უთანასწორო განაწილება, რესურსების - მათ შორის, აქტივიზმისათვის უმნიშვნელოვანესი ემოციური რესურსის - ფუჭად ხარჯვას იწვევს. ეს ყოველივე საბოლოოდ, სხვადასხვა საფრთხეს უმყარებს საფუძველს და დაცულობის განცდას ამცირებს.

„მე ძალიან მაწუხებს ფემინისტური ჯგუფების შიდა დაპირისპირება. სიმართლე რომ გითხრათ, ეს რომ ხელს მიშლის, ესე ძალიან არაფერი არ მიშლის ხელს. ეს არის ძალიან დიდი დემოტივატორი. ფართო გაგებით ქალთა მოძრაობას წარმოაჩენს ცუდად. ცივილიზებულად ერთმანეთს შორის თუ არ შეგვიძლია კომუნიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს თუნდაც იდეოლოგიურად, ვის რა უნდა გავაგებინოთ, ერთმანეთს თუ არ გავაგებინეთ?“ (ქალთა უფლებების აქტივისტი, თბილისი)

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების ისტორიებზე დაყრდნობით, აშკარაა, რომ ბევრ მათგანს **საფრთხის სიმწვავისა და რეალურობის შეფასების უნარი აკლია.** განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ფიზიკურ საფრთხეს შეეხება, აქტივისტებს უჭირთ აღიარონ, რომ მართლაც უკიდურესი საფრთხის წინაშე არიან. ის აქტივისტები, რომელთაც ფიზიკური თავდასხმა ან მუქარა

არ გამოუცდიათ, რისკებს სათანადოდ არ აფასებენ.

„ვერასდროს ვერ ვთვლი საფრთხეს, რომელიც [ჩემმა აქტივობამ] შეიძლება მომიტანოს. და ეგ ცოტა მაშინებს, იმიტომ რომ ჩემთვის ძალიან უწყინარმა რაღაცამ, შეიძლება დიდი აჟიოტაჟი გამოიწვიოს.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

ქვიარ და ქალთა უფლებების აქტივისტთა მოწყვლადობას გარე და შიდა ფაქტორები ზრდის. სახელმწიფოსადმი უნდობლობა და მედიის მიერ არაეთიკური გაშუქება გარე ფაქტორებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ. ეს ფაქტორები აქტივისტებისგან დამოუკიდებლად არსებობს და აქტივისტებს მათ კონტროლზე ხელი არ მიუწვდებათ. მაშინ, როცა აქტივისტთა ჯგუფებს შორის დაპირისპირება, კოორდინაციისა და სოლიდარობის დეფიციტი და რისკის შეფასების უნარის სიმწირე შეგვიძლია შიდა ფაქტორებად განვსაზღვროთ, რომლებიც აქტივისტებს ეფექტურად შეუძლიათ მართონ. ეს ფაქტორები აქტივისტებს უამრავ რესურსს, დროსა და ენერგიას ართმევს და მათი აქტივიზმის ეფექტურობას ამცირებს. „რეკომენდაციის დოკუმენტი: მოძრაობის შესაძლებლობათა შეფასების ინსტრუმენტის ანალიზი და გრანტის გაცემის სტრატეგია“ ფემინისტურ მოძრაობათა ძლიერ და სუსტ მხარეებს განსაზღვრავს.[36] ამ დოკუმენტის თანახმად, მოძრაობის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაძლიერება და უსაფრთხოების - განსაკუთრებით, ციფრული უსაფრთხოების უნარების - გამტკიცება, საქართველოში ქალთა მოძრაობის უმთავრეს საჭიროებებად განისაზღვრა. ამასთან ერთად, ლიდერობის გაზიარება, ცოდნის გაზიარება, სივრცის გაზიარება და უფრო ძლიერი ადგილობრივი სათემო მოძრაობები იდენტიფიცირებულ იქნა იმ ასპექტებად, რომელთა გაუმჯობესება აუცილებლია საქართველოში ქალთა მოძრაობის ეფექტური ფუნქციონირებისთვის.[37]

აქტივისტების ხილვადობა, სახელმწიფოს ვერ ნდობა, მედიის მიერ არაეთიკური გაშუქება, აქტივისტთა ჯგუფებს შორის დაპირისპირება, კოორდინაციისა და სოლიდარობის დეფიციტი და რისკის შეფასების უნარის სიმწირე ზრდის აქტივისტების მოწყვლადობას საფრთხეების მიმართ.

4.3. საფრთხის შედეგები ქალი და ქვიარ აქტივისტებისთვის

მტრული გარემო და სივრცის შეზღუდვის შედეგები აქტივისტების პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე ნეგატიურ კვალს ტოვებს. ფსიქოლოგიური პრობლემები, მათ შორის, ფიზიკური და ემოციური გამოფიტვა, შიში, პარანოია, შფოთვა, დეპრესია - აქტივისტებს შორის ფართოდ არის გავრცელებული. ამასთან ერთად, ზოგი ახალგაზრდა აქტივისტი აღნიშნავს, რომ მათ აქტივიზმზე საზოგადოების რეაქცია მათში საკუთარ თავში დაეჭვებას და თვითშეფასების დადაბლებას იწვევს. ამის შედეგად, აქტივისტები საკუთარ თავში და საქმიანობაში ეჭვის შეტანას იწყებენ. ძალადობის ობიექტად ყოფნის გამოცდილების შედეგად, ზოგიერთმა მათგანმა ყოველდღიური ჩვევა შეცვალა.

[36] ინფორმაცია ქალთა მოძრაობის შესაძლებლობათა შეფასების ინსტრუმენტის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე.

[37] Women's Fund in Georgia, Taso Foundation, Global Fund for Women (2019). *Recommendation Document: Movement's Capacity Assessment Tool Analysis and Strategy for Grant-giving.*

„იმ ტანსაცმელებს არ ვიცვამ, ან ძალიან იშვიათად, რომლითაც იმ ვიდეოებში ვარ. იმ ადგილებშიც არ მივდივარ. რაღაცა ადგილები მაქვს, სადაც იმ პერიოდში დავდიოდი, როცა ძალიან ცუდად ვიყავი და სადაც [ავუკრძალე ჩემს თავს] სიარული.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

ნეგატიურ ფსიქოლოგიურ შედეგებს, ხშირად, ჯანმრთელობის გაუარესებაც ემატება.

ამით აქტივიზმიც ზარალდება. თვითცენზურა ერთ-ერთი ყველზე გავრცელებული პრაქტიკაა, რომელსაც აქტივისტები საზიანო შედეგების თავიდან ასაცილებლად მიმართავენ. ასეთ დროს აქტივისტებმა, შესაძლოა, ნარატივი შეცვალონ, ანდა სულაც დადუმდნენ. ზოგი აქტივისტი აგრესიული ჯგუფების მხრიდან ძალადობის ესკალაციას, აუდიტორიის შეზღუდვას არჩევს. ისინი უარს ამბობენ დისკუსიაში ჩართვაზე, ზოგიერთ პირთან საკუთარი აზრის გამოხატვაზე, არ არეკლამებენ ვიდეოებს „ფეისბუკზე“ და ასე შემდეგ.

სივრცის შეზღუდვის საბოლოო მიზნი აქტივისტთა შესაძლებლობების აღკვეთა და აქტივიზმის შეწყვეტაა. ეს რამდენიმე გზით შეიძლება განხორციელდეს. რადიკალური ფორმით, როგორიცაა აქტივისტების მკვლელობა ან ფიზიკური განადგურება, ან სივრცეების იმგვარად შეზღუდვით, რომ აქტივისტებმა თავად შეწყვიტონ საქმიანობა. ინტერვიუებზე დაყრდნობით, ეს უკანასკნელი საქართველოს კონტექსტში სივრცის შეზღუდვის ყველაზე გავრცელებულ ფორმად იქნა იდენტიფიცირებული. რესპონდენტების ნარტივები აჩვენებს, რომ ფარ-ხმლის დაყრის რისკი უფრო მაღალია ახალგაზრდა და იმ აქტივისტებს შორის, რომლებსაც საკუთარ საქმიანობაში თავად შეაქვთ ეჭვი. აქტივიზმისათვის თავის დანებების რისკი მჭიდროდ უკავშირდება პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას (PTSD), გამოფიტვასა და უკიდურესად ნეგატიურ გამოცდილებებსაც. ზოგი აქტივისტი პერიოდულად „ტაიმ-აუტის“ აღებას და საზოგადოების ყურადღების მიღმა ყოფნას ამჯობინებს, ან საერთოდ ანებებს აქტივიზმს თავს.

„ჩემთვის ეს ცხოვრება ერთი დიდი თვითცენზურა არის, და ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, არის აი ამ თვითცენზურის გადალახვა. მთელი სამყარო არაფერში არ მიღებს, არც ჩემი სექსუალობა უნდა, არც ჩემი ... ანუ... მე რომ ვიყო ისეთი, როგორიც მინდა, ნიშნავს რომ ძალიან ბევრ რაღაცას უნდა გადავაბიჯო და როცა არ ვაბიჯებ, უკვე ჩემი ცხოვრება ერთი დიდი ცენზურაა.“ (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

4.4. უსაფრთხო სივრცის შექმნა

საფრთხის აღსაკვეთად და მტრულ გარემოსთან გასამკლავებლად აქტივისტები სხვადასხვა მიდგომებსა და მექანიზმებს მიმართავენ. დისტანცირება - ე.ი. სოციალურ მედიაში ბულინგის შემცველი კომენტარების წაკითხვასა და ტოქსიკურ დიალოგში ჩართვაზე უარის თქმა აქტივისტებს შორის საკმაოდ გავრცელებული მიდგომაა. ისინი ცდილობენ, სოციალური მედიის შინაარსი აკონტროლონ და ამ გზით, მეტნაკლებად უსაფრთხო ონლაინ სივრცის შექმნას ახერხებენ. ზოგიერთმა რესპონდენტმა საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან დაკავშირებული აქტივობები ახსენა - მაგალითად, ფსიქოლოგიური კონსულტაციები, ვორკშოპები ემოციური გადაწვის შესახებ და ა.შ. ზოგიერთი ფიზიკურ მომზადებას (კიკბოქსინგში ვარჯიში) და თავდაცვის საშუალებებს მიმართავს (წიწაკის სპრეის ატარებს ჩანთით). ეს მიდგომა უსაფრთხოების და დაცულობის განცდას ზრდის.

ეფექტური გამკლავების მექანიზმებს შორის, რესპონდენტებმა ახსენეს თანამოაზრე ინდივიდებთან და ჯგუფებთან კომუნიკაცია, სანდო პოლიციელებთან კონტაქტის შენარჩუნება და უსაფრთხო "ნეთვორქინგიც", რადგან ეს ყოველივე სხვა ადამიანების მხრიდან სოლიდარობისა და მხარდაჭერის განცდას უზრუნველყოფს.

რადგან მხარდაჭერის ქსელები ქალი და ქვიარ აქტივისტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ისინი მხარდამჭერი ჯგუფების რაოდენობის გაზრდას ცდილობენ. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე - სხვა აქტივისტური მოძრაობები, როგორიცაა „სირცხვილია" და „თეთრი ხმაურის მოძრაობა"[38] ქალი და ქვიარ აქტივისტების მხარდამჭერ ჯგუფებად იქნენ დასახელებულნი.

სახალხო დამცველის ოფისი იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტების ერთადერთი მხარდამჭერი სახელმწიფო ორგანოებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუციები ქალთა უფლებების და ქვიარ აქტივისტების ნდობით არ სარგებლობენ, აქტივისტებთან თანამშრომლობის წარმატებას სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებული ცალკეული ინდივიდები განსაზღვრავენ.

და ბოლოს, აქტივისტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერები ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები არიან.

„ძალიან მიხარია რომ მაქვს თუნდაც ის მხარდამჭერი გარემო, რომელიც მე მყავს, თუნდაც ის, რომ რაღაც რომ მოხდეს, ჩემს გარშემო ყოველთვის არიან სამეგობრო თემის წევრები, მხარდამჭერი ადამიანები, ვისაც ყოველთვის შემიძლია დახმარებისთვის მივმართო, თუ დამჭირდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია." (ქვიარ აქტივისტი, თბილისი)

[38] დამატებით ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ: მოძრაობა „სირცხვილია" და „თეთრი ხმაურის მოძრაობა"

5. დასკვნა

ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა მშვიდობიანი შეკრების უფლება, გამოხატვის თავისუფლება და გაერთიანების უფლება, მსოფლიოს მასშტაბით არაერთ ქვეყანაში აწყდება მნიშვნელოვან დაბრკოლებებს. ეს უფლებები სოციალური მოძრაობების სათანადო აქტივიზმისათვის აუცილებელ ფუნდამენტს წარმოადგენს. ამ უფლებათა დარღვევა ქვეყნებში დემოკრატიული სივრცის შეზღუდვის მთავარი ინდიკატორია.

დემოკრატიის შეზღუდვა საქართველოსთვისაც რთულ გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს სამართლებრივი ჩარჩო მოქალაქეებს ფუნდამენტურ უფლებებს თანასწორად ანიჭებს, ამ უფლებებით ჯეროვნად სარგებლობა აქტივისტთა მრავალი ჯგუფის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია და შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში საჩვენებელ, ფორმალურ ნორმებთან გვაქვს საქმე.

კვლევის მიზანი იყო ქალთა და ქვიარ აქტივიზმის, ასევე იმ საფრთხის ფორმებისა და მახასიათებლების გაანალიზება, რომლის წინაშეც ქალი და ქვიარ აქტივისტები საქართველოში დემოკრატიის შეზღუდვის პირობებში დგანან. ქვეყნის კონტექსტის ანალიზმა აჩვენა, რომ ქალთა და ქვიარ აქტივიზმისადმი მტრული გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შეაქვთ. დამოკიდებულებების დონეზე, ფართო საზოგადოება ორივე მათგანს - რადიკალურ მემარჯვენე ჯგუფებსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უჭერს მხარს. ამავე დროს, ეკლესია ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ნდობით არის აღჭურვილი და საზოგადოების განწყობაზე ძლიერი გავლენის უნარი აქვს. პოლიტიკური მიზეზებიდან და ღირებულებების/მორალური სისტემების თანხვედრიდან გამომდინარე, რადიკალური მემარჯვენე ჯგუფები და ეკლესია ოფიციალური სახელმწიფო პირებისა და პოლიტიკოსების საგრძნობი მხარდაჭერითაც სარგებლობენ, რაც ქალი და ქვიარ აქტივისტებისადმი გარემოს მტრულ და სახიფათო განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებს.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და რადიკალური მემარჯვენე ჯგუფების დისკურსი კონსერვატული, ანტიდასავლური და ანტილიბერალურია. შესაბამისად, ის ქალი და ქვიარ აქტივისტების მიერ გავრცელებულ ნარატივებს უპირისპირდება. ქალი და ქვიარ აქტივისტების ნარატივების წინააღმდეგ საბრძოლველად ისინი ქვეყანაში უმაღლეს ფასეულობად მიჩნეულ ოჯახის ღირებულებას იყენებენ. არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, ქალი და ქვიარ აქტივისტების მიერ გავრცელებულ ნარატივებს ჩვეულებრივ, უარყოფითი გამოხმაურება მოსდევს. გავრცელებული ნარატივებიდან საზოგადოებისთვის ყველაზე მიუღებელი ის შინაარსებია, რომლებიც ტრადიციული ოჯახის იდეას ეწინააღმდეგება, მათ შორის - ქმრისა და ცოლის/ქალის ტრადიციული როლების ცვლილება და ქალების სექსუალობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი.

შეზღუდულ სივრცეში ოპერირების შედეგად, ქალი და ქვიარ აქტივისტები პროფესიული და პირადი ყოველდღიური ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა ფორმის საფრთხის წინაშე დგებიან. კერძოდ, აქტივისტთა ფიზიკური საჯარო სივრცეებიდან გაძევებით ირღვევა მათი მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის უფლებები. გარდა ამისა, აქტივისტები ყოველდღიურ ცხოვრებაში არაერთხელ

ხდებიან მუქარის ადრესატები, რაც მათ ფიზიკურ და ციფრულ უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს.

ეს მუქარა უმეტესად აქტივისტთა გენდერულ იდენტობას, ასევე - გენდერის საკითხებზე ფოკუსირებულ მათ სამუშაოსა თუ აქტივიზმს ეფუძნება. საფრთხის ეს ფორმები - სექსუალური შევიწროება, სექსუალური ძალადობა, ან გენდერული და სექსუალური ნიშნით დაშინება, ბულინგი და დისკრედიტაცია მკაფიოდ ჰეტერო-პატრიარქალური ღირებულებებითა და მასთან დაკავშირებული მავნე პრაქტიკით არის განპირობებული.

მრავალი სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორი, მათ შორის: სახელმწიფო ინსტიტუციების უნდობლობა, მედიის მიერ არაეთიკური გაშუქება, აქტივისტთა შორის კოორდინაციისა და სოლიდარობის უკმარისობა და რისკის შეფასების შეზღუდული შესაძლებლობები საფრთხის წინაშე აქტივისტთა მოწყვლადობას ზრდის. ამასთან ერთად, შეზღუდული სივრცე ქვიარ ქალებზე უფრო მძაფრად ზემოქმედებს, რამდენადაც ქალთა უფლებების აქტივიზმში ჰეტეროსექსუალ ქალთა აქტივიზმის დღის წესრიგი დომინირებს, ქვიარ სივრცეში კი გაბატონებული პოზიცია ქვიარ მამაკაცებს უჭირავთ. ყველა ზემოხსენებული ფაქტორი საბოლოოდ აქტივისტთა პირად და პროფესიულ კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას და ცალკეულ შემთხვევებში, აქტივიზმის შეწყვეტას იწვევს.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული სივრცის შეზღუდვა და მისი თანამდევი საფრთხეები ერთი მხრივ, ინდივიდუალური აქტივისტების სიცოცხლესა და კეთილდღეობას აყენებს რისკის ქვეშ, მეორე მხრივ კი მისი შედეგები ქალთა და ქვიარ აქტორთა აქტივიზმს უღობავს გზას, რითაც საზოგადოებაში მეტად ეგალიტარული და ინკლუზიური დისკურსების დამკვიდრებას აფერხებს. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება ქალთა და ქვიარ მოძრაობების გაძლიერების მიზნით სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი ზომების მიღება, რათა აქტივისტები უზრუნველყოფილნი იყვნენ არსებულ გარემოში უსაფრთხო ოპერირების გზებითა და ქალთა და ქვიართა მხარდამჭერი დისკურსების ეფექტური გავრცელების შესაძლებლობით.

WeResearch

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

filia
die frauenstiftung.